


619  
2000



№ 11-12  
2000



*Академия*







# თბილისი — 2000







**თბილისს შეიქმნა:**

1. წმინდა სამების ეკლესია
2. ერთი მხატვრის მუზეუმი (ნათელა იანქოშვილი).
3. ბავშვთა სპორტული კომპლექსი
4. ფარნავაზ პირველის ძეგლი  
მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი
5. ევგენი მიქელაძის ძეგლი  
ავტორი გიორგი შვავაძეაია



№ 11-12 2000 (712)

**ყოველთვიური საზოგადოებრივი-  
პოლიტიკური და სალიტერატურო-  
სამხატვრო ჟურნალი**

# დროშა

**სარედაქციო კოლეგია:**

**ჯანსუღ ჩარკვიანი -  
შემოქმედებითი პრეპეტივ სელექციონერი**

**გულნარა ბახტაძე -  
პასუხისმგებელი რედაქტორი**

**ვანო ბაბუაძე, ნატა თათარაშვილი, ზურაბ  
კანატკიშვილი, თაღო ნინია, ღინარა ნოღია  
(მხატვარ რედაქტორი), ულარ შენგელაია, ზურაბ  
წერეთელი, თაბაზ ჭილაძე.**





# ახალი ფოქსები

მამუკა სუმსლაკი



\*\*\*

### მიმი ზაღალაშვილი

ჩვენ რო გავზნდით, ომი იყო...  
სიზმრებს ჩვენსას თავი ზრავდა...  
მამას ცოცხლად გიხსენებდით,  
დედისერთას დედა გყავდა...

ბედი ბედს და ყოფა ყოფას  
ჰგავდა თითქოს და არც ჰგავდა...  
ემშაკმაც კი არ უწყოდა,  
ვინ ვის ცოდვას და რად ზღავდა...

ობლის კვერიც  
მერე  
თითქოს  
მეტნაკლებად  
ცხვა და ცხვა და  
სხვადასხვანაირი აზრით  
ბევრი იქცა სხვადასხვადა...

გამოცხვა და არც გამოცხვა,  
რაც გამოცხვა, ის წაგმწარდა...  
რაც არ გწამდა, ქარს მოჰქონდა  
და მიჰქონდა ის, რაც გწამდა...  
სისხლ-ხორცი რო დაგიობლდა,  
ობლის კვერის ცხოზა გწაღდა...

დრომ დაგცადა –  
არაფერი,  
არაფერი არ აგცდა და...

არ დაგცაღდა,  
არ დაგცაღდა,  
არ დაგცაღდა  
ის, რაც გწაღდა...

დავრჩი მარტო,  
უჩემძებოდ –  
აღარც შენ და არც ისინი,  
შენ სიცილი დაგავიწყდა,  
ახლა ველარც მე ვიცინი.

\*\*\*

უწინ, ვის ვებუდით, ყველამ ვიცოდით,  
ყველას ამდენად გვიყვარდა ყველა,  
ახლა არ ვიცი... კარგა ხანია,  
არ დამინახავს ის ცისარტყელა...

წყვედიანი არა, მაგრამ ბურუსით  
მოცული იყო სიყრმის კორდები –  
ჩუმი ტრფიული მახსოვს სუროსი  
და, ზამბახებო, არ მაგონდებო...

ახლა იფეთქა თითქოს ბუნებამ,  
დრო დადგა ვარდის ფურცლის  
გამშლელი,  
მაგრამ დიდია უფრო ცდუნება  
და ნაკლებია უფრო საშველი...

რა გითხრა, ხალხო პატიოსანო,  
ჩემო ქვეყანავ, რით გაგახარო –  
გაგიბითურეს ზნეც და მგოსანიც,  
წითელი კოჭი არც შენ არ ხარო.

\*\*\*

ა ისეთი, შანსს რო ფლობს,  
ყოფილ შემომეყარა –  
ცოლი არა, სამშობლო  
მიზოვა, წილში მეყარა...

რაც გამაჩნდა – იავარ,  
ისიც – რაც არ მქონია,  
მოწყენილი კი არ ვარ,  
სულ აღარ ვარ, მგონია...

რაა ჩემი არჩივი,  
მისია თუ ნისია?  
აწმყოს არც მე არ ვჩივი,  
მომავალი ვისია?

ვაის ვერ გაეყარა  
ჯერ და უკვე ვუის ხმობს,  
ჩემი კარგი ქვეყანა,  
ნეტავი რას გულისხმობს?

რა კარგია, რა კარგი,  
„ჩუმა“, როცა „პირია“?  
აღარ გვინდა აკაკი,  
აღარ გვინდა ილღო?

რაღა დროს მამულია  
და სიგლახის გმობაა?  
ხორცი საამურიან,  
სული გოიმობაა?

ასეთი თამაშია  
ახლა – „ვისი ხორცი გსურს?“  
შენ გშია, მას არ შია,  
შენ უნდა ჩასწვდე მის სულს.

ბრიყვი ბრიყვს თუ ენდობა,  
სხვა არავინ – არავის,  
ჰკვიანების მხედრობა  
ცრუა და შემპარავი.

კვითხე წმინდა გიორგის,  
ჩემს ძარღვებში გასუსულს –  
რა გეშურს ნიუ-იორკის,  
რა გესურს ჩვენ და რა სურს რუსს?

მიპასუხა: იმედი  
ერთიმეორისაო,  
ღმერთთან ვერც მე მივედი,  
ის ჩვენს შორისაო.

პოლიტიკა ერთია,  
მეორეა მთავარი –  
სიყვარული ღმერთია,  
სიძვა სულ სხვა რამ არი.

არითმია გავრითმე,  
ნოსტალგია – ვერა,  
გინდა ყველა დამითრო  
რა – გლობალურად ბნელა?

\*\*\*

მწარეაო შენი ლექსი –  
მიტხრა ერთმა კოლეგამ;  
– მწარეა და მეტი არა,  
ღვიძლმა ძმამ მძას რო რეკა?

რო მოსდგა და რო ყო და ყო  
ჩვენი ავლა-დიდება  
შოუ და პორნო-კოდაკის  
კულში გამოკიდებამ?!

რო აღმოჩნდა მოკვეთილი  
სულ ყველა გაკვეთილი –  
შვილი მამას რო აყვედრის,  
„რად გამზარდე კეთილი?“



\*\*\*

სესერეკა რო მანატრა  
სესერეკას კოლეგამ...  
(რო მანატრა, თორემ  
მე ვინ და ვინ ის სესერეკა?!),

სესერეკა დაიშალა,  
აწი რაა საშიში?  
- მწამს აშშ-ს ფიცი, მაგრამ  
ბოლი მიკვირს ჰაშიშის!

\*\*\*

კულტი დავგმეთ პიროვნების,  
დადგა უფლების დროება,  
თხარა დემოკრატიამ და  
მოთხარა სამიშროება:  
არც სახელი, არც სახრავი  
ლექსით აღარ იშოვება;  
უფლება გვაქვს უფულოებს,  
ფულით რო ვიშოვოთ შვება;  
ეროვნული უკვდავების \*  
წყარო ახლა ასე შრება.  
ხელავ, მზეო,  
რა ზნე ზეობს,  
ხელის ჭუჭყი რას გვიშვრება?!  
პოეტიც თუ გაეშმაკდა,  
ემშაკს რალა ეშველება?!

მჯობნის მჯობნი დაილია  
მოჩვენებით სიმყარეში,  
ერთმანეთში აირია  
უარესის უარესი;  
დედაკაცი მამაკაცის  
სწორი განდა სიგლაზეში,  
გაბმული ვართ გაწამაწი-  
ით სულ ახლებურ მახეში.

აბაუბდა გადაბრუნდა...  
მერე ისევ გადმობრუნდა -  
კაცი შინიდან გავიდა  
და მერე შინ არ დაბრუნდა...

ეს ცხოვრება პროზა არი,  
პოზა არი,  
ბოზ... (ი უნდა!),  
ცოლს არ უნდა ისე ქმარი,  
ქმარი უნდა, როგორც უნდა!

„ინდი-მინდი, ფერად შინდი“  
გახუნდა და გამოხუნდა,  
მზეო, ამოდი და ბრწყინდი,  
ან ამ ლექსის მომე ხურდა...

ანუ ფული, ანუ ფარა,  
ანუ დოლარი და ლარი -  
სიკვილსამც დავიწყებია  
ქართული ჰარი-ჰარალი!

ვიცი, არ შეიძლება -  
დროა სამოქალაქო,  
ამით რა შეიცვლება,  
მაგრამ როგორ არ გაქო

შე მართლა ჩემო კარგო,  
ჩემო ელეთ-მელეთო,  
ქვეყნის სალაპარაკო  
ორ ზღვას შუა ხმელეთო,

მამულო...  
და აღმურო  
ჩვენი სირცხვილისაო -  
სხვისმა სიბრძნემ სხვის ომში  
კვლავ რო გაგასხვისაო,

სიყვარულით მართულო  
წესო ცხოვრებისაო -  
მისწრებაო ქართულო  
გაუცხოებისაო,

ხალხო პატიოსანო -  
მშრომელო დოღრიალავ,  
რკინავ ილეკროსანო,  
მოთმინების ფიალავ,

ერო,  
ბურო,  
მგოსანო -  
ქართლის ჭირის ტალ-კვესო,  
სულ მუდამ საფერებო,  
სულ მუდამ სააღერსო,

ცოტა ხარ, ებევრები  
ბევრს და აკი დაგემესო -  
კვლავ სტუმარი გასწავლის  
შენს სახლში შენს საქმესო,

თერაპიულ ზიციანით  
(შოკურით) იღლიაში,  
გლობალიზაციიდან  
გლობალიზაციაში,

მიგაქანებს დინება  
შიმშილით და ტაშისკვრით -  
გმობ „პროვინციულობას“,  
უკვე დაგმე „ფაშიზმი“,

იცი, განა არ იცი  
თავად, შენი კვენსა მე,  
ორთაშუა ზედმეტი  
როა მუდამ მესამე,

თავს უფლებას თუ მისცემ,  
კბილებს გაგილესავენ -  
დაგავიწყებს საფიცრებს  
მესამეთა „ბესა მე“, \*

უფლებათა უფლების  
სხვაა იგი სინათლე -  
თავის თავის უფლებით  
დმერთთან თავს ვინ იმართლებს?!

დმერთი არს სიყვარული,  
არა - თავის უფლება,  
გავისხენოთ არული  
უნდა ჭირისუფლებმა,

ლექსმა გვექნა მოუბარი,  
უნდა ვენდოთ ლექსსავე -  
დაგვასიზმრებს უფალი  
ჭეშმარიტ საესავეს,

დაგვასიზმრებს საყვარლის  
საფლავს ღვთისანაბარას -  
სარეველურ აკვარლებს,  
აწ ეშმაკის აგარაკს,

გული იმას გაუბო  
თუ გაუბო დანამა -  
არც ჟუჟუნა მოვიდა,  
ველარც ცრემლმა დანამა...

ისევ შენ და ისევ შენ,  
ლექსო გასაკვირველო -  
ენავ ჩვენო მეშვიდევე,  
ექვსო თავდაპირველო,

ენავ დაწუნებულო,  
ენავ უჩინმაჩინო,  
შენდამი რწმუნებულო  
ყველა ენა საჩინო,

საიდუმლო ყოველი,  
უნდა გამოაჩინო -  
ვინძლო წუთისოფელი  
მართლა გადაარჩინო.

\* „ბესა მე“ - ესპანურად, „მე მაკოცეო“, ამას  
ნიშნავს, დოჩანაშვილთან სსრკ-ს პირობებშია გა-  
საკუთარსახელებული ყოვლადიმდროულუნიჭი-  
ერესულფანტასტიკურდისიდენტურად (აუტორის  
შენიშვნა).

საქართველოს  
ბატონთა  
ბიბლიოთეკა







ის მარტო არ არის, რომ მის გვერდით უამრავი კეთილი ადამიანია... და პოეტის ფრთიანი ფრაზა რომ მოვიშველიოთ: „მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დაიწვი, ჩვენ თუ არ დავიწვით, ვინ გაანათოს?!“

მარტო ეს მაგალითი რად ღირს, როცა ლუკმა-პურის საშოვნელად „ვაგზლის მოედანზე“ დედასთან ერთად გამოსულ მომღერალ გოგონას ნატო ვეფხვაძეს კეთილი ადამიანების დახმარებით სვალინდელი დღის ნათელი ეღირსა.

თოთხმეტი მაისის გადაცემაში „ჩვენი მისამართია“ სულისშემძვრელ პანგად გაიჟღერა გალაკტიონის სიტყვებმა, რომელსაც საოცრად წკრილა ხმით მღეროდა ცამეტი წლის ნატო.

„ვარდები არ არიან, მაგრამ რა მგვარდება, სულო რა გემართება, გულო რა მოვივიდა“... ბერს შეგვიჩვენებია, ალბათ, როგორი ანდამატი იზიდავდა გოგონას გულშიამწვდომი სიმღერა გამძვლელ-გამომვლელს.

გამორჩენენ კეთილი ადამიანები. დავით პაპაშვილმა გულთან მიიტანა უხუგემო დედაშვილის სატკივარი და წერილი მისწერა ქალბატონ ჯულიეტას. პირველი, ვინც ამ წერილს გამოეხმაურა, არქიტექტორი თამაზ თევზაძე იყო. პასუხზე არ დააყოვნა და ბატონ ნოდარ ანდულაძის დახმარებითა და თანადგომით ნატო ვეფხვაძე კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ მუსიკალურ სასწავლებელში ჩაირიცხა, სადაც ის ყოველგვარი საფასურის გარეშე დაუფუძვლა სიმღერის ხელოვნებას.

თქვენ, ალბათ, ის გადაცემაც ნახეთ, ერთერთ თბილისურ ეზოში სამსართულიანი სახლის სიძველისგან საყრდენმორღვეულ და საფეხურებმაცვენელ კბეებზე როგორი წვალებით ადი-ჩადიოდნენ ჯოხიანი ხანდაზმულები.

უახლოეს გადაცემაში კი ისიც ვიხილეთ, როგორ ჩაპბერა სიცოცხლის ნიშანწყალი ამ სახლსა და მის მოზინადრეებს ახალი ხის კიბის საფეხურებმა.

ან როგორ იყო ჩვენი სათაყვანებელი მწერლის აკაკი წერეთლის ძეგლი „დატყვევებულ“ და „დახუნძლული“ გარემოვაჭრეებისა და ათასწერად აჭრელებული სავაჭროდ გამოფენილი სხვადასხვა ნივთისგან.

სამართლიანად შენიშნავდნენ გადაცემის მწვეურები, რომ „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა“ – ამ სტრიქონების ავტორს არც ასეთი საქართველო ჰქონდა მხედველობაში და არც ასეთ სიმებს გულისხმობდა. დღეს კი, როგორც ბერ შემთხვევაში, ამ გადაცემამ შედეგი გამოიღო და აკაკი წერეთლის ძეგლი, როგორც იქნა, გათავისუფლდა „ტყვეობიდან“.

ახლა იმ წერილს გავეცნოთ, რომლის ადრესატის დახმარების მოწმენი ჩვენ თავად გავხდით.

„ამ ბარათს მცხეთის რაიონის სოფელ გლდანში მცხოვრები ეკატერინე გიორგობიანი გწერთ, დაბადებული 1903 წლის 16 თებერვალს.“

ზოგჯერ მეზობლები მომწვდიან პურს და რითაც შეუძლიათ მეხმარებიან, წარმოიდგინეთ, როგორ მდგომარეობაში ვიქნებოდი ას წელს მიტანებული მოხუცი, ისინი რომ არ მყავდნენ დამხმარედ“...



აი, სწორედ ამ წერილის თაობაზე მიმართავდა ქალბატონი ჯულიეტა მცხეთის გამგებელს ჩვენი სტუმრობისას. ბატონმა ანდრო კალანდაძემ გულთან მიიტანა მოხუცის გასაჭირი და ქალბატონ ჯულიეტას მისი დახმარება აღუთქვა.

ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია იმ ჩამონათვალისა, რაც ვაკეთდა და რაზეც ყურადღება გამახვილდა ამ მეტად საჭირო გადაცემაში.

ამ წერილს კი ვალენტინა კობალაძე წერდა:

„მყავს მეზობელი – ნუნუ ფულარიანი. უპატრონოა, მარტოხელა, ინვალიდი. მოტეხილი აქვს ორივე ფეხი. ვუვლიდი წლების მანძილზე. მეც ფეხის მიძიე მოტეხილობა მქონდა. ხშირად სიარულიც კი არ შემიძლია ტკივილებისაგან. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თავდაც მოსაველეს, უკვე სხვისი მოვლა აღარ შემიძლია. რა ვუყო ამ საცოდავს, არ ვიცი... როგორ შეიძლება არ არსებობდეს უპატრონოთა სახლი, სადაც ასეთ ავადმყოფებს მიხედავენ და მოუვლიან. იმედი გვაქვს თქვენი გულისხმობების, რომ გულთან მიიტანთ ჩვენს სატკივარს, იქნებ შეძლოთ დახმარება“.

ახლა გავეცნოთ, რას წერს იგივე ქალბატონი, მეორე, ახლა უკვე სამადლობელ წერილში:

„ტელერადიო კორპორაციის თავმჯდომარეს ზაზა შენგელიას!

... ქალბატონი ჯულიეტა ანგელოზად მოგვევლინა. ჩვენს ღუზჭირ დროში, ალბათ, ძალიან ცოტაა მისნარი ადამიანები, დრო და დრო მირეკავდა, მაიმედებდა... ქალბატონმა ჯულიეტამ, დიდებულმა ქართველმა ქალმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უდიდესი ქრისტიანული გულკეთილობით შეძლო ჩვენი დახმარება. მადლობა მას ასეთი კეთილშობილებისათვის.


მადლობას ვწირავთ აგრეთვე ქალბატონ მერი გოგოლს, პანსიონატ „სავანეს“ ხელმძღვანელს, რომელმაც გულთან მიიტანა ჩვენი სატკივარი და დაერდომილი ადამიანი შეიფარა...

გადაცემა პატარაა, სატკივარი კი უამრავი. ვფიქრობთ, სასურველი და აუცილებელიც არის, რომ ამ გადაცემის ხანგრძლივობა გაიზარდოს. თქვენნაირი ადამიანები ჩვენში იმედს აღვიძებენ.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე, გაგაძლიეროთ უფალმა!”

ამით ქალბატონმა ვალენტინამ ყველას სათქმელი თქვა, ჩვენთვის კი ერთ საიდუმლოსაც აეხადა ფარდა:

აი, თურმე კიდევ რატომ არის ჩვენი ჯულიეტა მარად ახალგაზრდა ქალბატონი.





### გურამ კლიაშვილი



ჩვენი თაობის შესანიშნავ პოეტს, თანაკურსელსა და მეგობარს, 70 წელი შეუსრულდა. ვულითადად ვულოცავ და ვბეჭდავთ მის ლექსებს, რომელთაც დაბეჭდება არ უწყრიათ, ისე, როგორც მის ავტორს.

ჯანსუღ ჩარაქიანი

### აიხდნელი იცნება

პროსპექტები,  
მოედნები,  
მაღაზიის  
ვიტრინა, —  
ელის ჩვენი  
პოეტების  
დიდ ფორმატს და  
დიდ ტირაჟს...

### ესე იგი, დავბერდი!

ძველებურად გული ვერვინ გამითბო,  
ზმაშიც გაქრა ხავერდი.  
ავტობუსში გოგომ სკამი დამითმო,  
ესე იგი, დავბერდი...

ერთმა ბოთლმა შამპანურმა დამათრო,  
მაწყვევლინა თავებედი.  
ლამაზების ცქერამ ველარ ამანთო,  
ესე იგი, დავბერდი...

ვერ გავცურე წყალწითელას სათავე,  
ველარც ზვამლზე ავედი.  
ექიმებმა დამინიშნეს სათვალე,  
ესე იგი, დავბერდი...

უძილობა შემეჩვია წუწუნით, —  
ტკბილ სიზმრებსაც მაყვედრის;  
დამიმაღლეს სასმელი და თუთუნი,  
ესე იგი, დავბერდი...

მომენატრა ურა-კვიცის გახედნა,  
ჭალებში რომ დავდევი.  
დამიმაღლეს ქალებისკენ გახედვა,  
ესე იგი, დავბერდი...

ნუთუ ლექსში შემეპარა ჭალარა?!  
გაქრა ლექსის აბედი?!  
ნუთუ მართლა რაც ვიყავი, აღარ ვარ?!  
ნუთუ მართლა დავბერდი?!

### წამიყრი მონღოლგი

როგორც აქამდე მიცნობენ,  
ისე განმსაჯოს მცნობელმა,  
მე რომ ამქვეყნად ვიცხოვრე,  
იმას ჰქვიოდა ცხოვრება?

სიცოცხლის ბოლო წუთამდე  
არ მომშორდება სიმორცხვე,  
მე რომ აქამდე ვსუნთქავდი,  
იმას ჰქვიოდა სიცოცხლე?

ზამთრის დღესავით ემოკლდები,  
ზაფხულის გრძელ დღეს მივტირი,  
მე რომ სიკვდილით მოვკვდები,  
იმას ერქმევა სიკვდილი!

### მთომინება

საქართველოს ყველა მტერი  
იარაღით მარაგდება...  
სულ ცოტაც და ყველაფერი,  
ყველაფერი დალაგდება.

შეიყრება ერთად ერი, —  
შავს შავი დღე დაადგება...  
სულ ცოტაც და ყველაფერი,  
ყველაფერი დალაგდება.

მაშ, ვინ იცის ძლევა მტრების,  
თუ არ იცის მარაბდელმა...  
სულ ცოტაც და ყველაფერი,  
ყველაფერი დალაგდება.

დამიცლია ფიალა,  
ალავერდი მისვრია...  
მარტო შენი კი არა,  
ჩემი ქუთაისია!

ავჯადოებს თილისმით  
მისიანს და სხვისიანს...  
ჩემი, შენი, იმისი,  
ჩვენი ქუთაისია

მთვარიანა, მზიანა,  
მარტი თუ მისია...  
მე და შენი კი არა,  
ჩვენი ქუთაისია!

ვერ გაარჩევ დედაში,  
სხვისი შეილიც მისია...  
შენი, ჩემი, ყველასი,  
დედაქუთაისია!

### ალავერდი

### ბეღურბი!

თქვენ ვერ გალობთ ბულბულივით, ვერც მტრედვით ღულუნობთ,  
თქვენი ოდა-სახლი არის საბძელი და ფულერო!  
მარტო ჩვენში იბადებით, აქ ცხოვრობთ და აქ კვდებით,  
თქვენი ნაგრამ-მონაგართ გვემატებით, გვაკლდებით!  
არც თბილ ქვეყნებს ესარბებით, არც ცივ მხარეს შენატრით,  
თქვენც ჩვენსავით მოძულე ხართ საქართველოს ყველა მტრის!  
თქვენნაირი ცით და მიწით ქვეყნად ცოტა მკვეხარობს,  
ქართველების ჯიშისა ხართ, — მამულს გარეთ ვერ ხარობთ!  
ვინც გაფრინდა სამუდამოდ, დაგვტოვა და გვიმტყუნა,  
ყველა დარჩა მუზეუმის ნაკრძალად და ფიტულად!  
თქვენ არასდროს არ იცვლიდით ბუმბულსა და სამყოფელს,  
თქვენი ღმერთი სიკვდილამდე ერთ სამოსში გამყოფებთ!  
მარტო ერთი ნოტი იცით, მარტო ერთი ჟივივი  
და დილიდან საღამომდე თავს გვევლებით გიჟივით!  
მერე რა, რომ ეხიზნებით ძველი ციხის ქონგურებს?!  
მერე რა, რომ ხმებს ვერ უწყობთ გიტარებს და ჩონგურებს?!  
მერე რა, რომ არ ეკუთვნით მეფურ ჩიტთა ელიტას?!  
ვერც კამარას ვერ კრავთ ცაში?! ვერც გალიას ვერ იტანთ?!  
მაგრამ თქვენი ერთგულებით საფრინველეთს დაწონით,  
არც არასდროს გამრუდდება თქვენი ბედის სასწორი!  
ზოგ-ზოგივით სანავარდოდ არ დაფრინავთ ღრუბლებში,  
საკუთარ კვერცხს დასაჩეკად სხვებს არ უდებთ ბუდეში!  
მეც თქვენსავით მშინებია მოღერილი შურდულის,  
რომ ლექსებში მეჟღურტულა თქვენებური ჟრურტულით!  
ხვითოსავით დაჰკანკალებთ ბარტყებიან საბუღარს,  
თქვენი სვე და თქვენი ბედი მე მაგონებს საკუთარს!  
თქვენს კერიას გეუზგუზოს, თქვენს მუგუზალს ელუოს,  
და ეხაროს, მამულისთვის, ვინც თქვენსავით ბელურობს!





**(სენარამ „ლილაგის ზღაპრისათვის“)**

შევარდნაძე (ნაჯახით ხეებს ჭრის და მღერის):

„ხეებს ნუ ჰკაფავ, ძმობილო,  
ტყე დაიცლება, ბრალია,  
ის ცივი წყარო დაშრება,  
ყანას მოგვიჭამს კალია.  
ტყეს ნუ ეყრობი მტრულადა,  
მოყვრულად მოიხმარია,  
ტყე შეუნახე შვილებსა,  
მამა ხარ, შენი ვალა.“  
პუუმ-პუუმ-პუუმ,  
შოკოლად!

შემოდის მამუკა გიორგაძე — მონადირე.

მამუკა გიორგაძე (ყვრის): — რატომ ჭრი ამ ხეებს, კაცო, შენ! ტყეს რომ ანადგურებ, სად ვინადირო მე აქ? ნადირი და ფრინველი სულ გადაიხვეწება სხვა ქვეყანაში.

შევარდნაძე: — მამუკა, შენ მე ნუ მასწავლი, რას ვჭრი და რას ვკერავ; ჯერ ერთი, ამ ხეებს მაშრიფ-მადრიბში გავყიდი და ჩვენს დამშეულ ხალხს დავაპურებ. მეორეც, ტყე რომ აღარ იქნება, ვეღარც ყაჩაღები და ციხიდან გაქცეულები დაიმობლიბიან შიგ. დღეს ასეა საჭირო და მომავალში ისეც გავაშენებ. გაიგე ახლა? მითხარი, სხვანაირად როგორ ვუშველო ქვეყნის გაჭირვებას და მეტე მეღაპარაკე.

მამუკა გიორგაძე: — ქვეყნის გაჭირვება არ ვიცი მე, ჩემი გაჭირვება მეყოფა! ხან ვის მივადგები ხელგაწვდილი და ხან ვის!

შევარდნაძე: ხელგაწვდილი სიარული ჩემი მოგონილია. მაგრამ გააჩნია, ვის მიადგები. კი უნდა იცოდეს აწი ამდენი.

შემოდის ელენე თევდორაძე.

თევდორაძე: — რატომ დავობთ, ბიჭებო? მაგას ვლობია, ერთად ვიმღეროთ.



(მღერის): „ტყე შეუნახე შვილებსა,  
მამა ხარ, შენი ვალა.“

შევარდნაძე: — ლენოჩკა, მომაცილე, გეთაყვა, ეს კაცი! მაგისგან არაფერი გამოვა. არ იმღერებს მაგი ჩვენთან! დამეხმარე, თუ ქალი ხარ.

თევდორაძე: — მერედა, შენ პატიმარი ხარ?



**ანზორ აბუხანდაძე**

შევარდნაძე: — ჯერ არა ვარ, მაგრამ არც ვიქნები. კი უნდათ ჩემი დაპატიმრება, მაგრამ ვერ ელირსებიან ამას.

თევდორაძე: — აბა, მაშინ ვერ დავესმარები. ჯერ დაგაპატიმრონ და მეტე ვილაპარაკოთ. პა-პა-პა...

შევარდნაძე: — ლენოჩკა, შენც მოლაღატე, არა?.. რას იხამ, მეგობრობის კანონი არ კანონობს ამ ტყეში.

შემოდის ირინა სარიშვილი.

სარიშვილი: — ნაჯახის კაკუნი გავგონე. ვინ აკაკუნებდა აქ?

შევარდნაძე: — რა გინდა! მორები?

სარიშვილი: — მორებს რა თავში ვიხლი, მე ის მინდა ვავიგო, მორები ვის უნდა?

შევარდნაძე: — მაგი არაა შენი საქმე. აქ ტყის მცველი შენ კი არა ხარ, კახაა.

სარიშვილი: — კახა რომაა, იმტიმაც მინდა დავადგინო, ვის მიაქვს მორები. ჩემი გაუგებელი არაფერი რჩება.

შევარდნაძე: — ირინა, მამაშვილურად გეუბნები, მოეშვი ამ მორებს. შენ ავერ იმას მიხედე, მამუკა რომ ნადირობს და ფაუნას ანადგურებს.

სარიშვილი: — მამუკა არ მაინტერესებს. ეგ სათვალავში ჩასაგდები არაა, არც სროლა იცის და არც დამიხნება. თანაც არც იარაღი აქვს და არც მიზანი.

შემოდის უვანია, მღერის:

„პატარა გოგო დამეკარვა,  
წითელპერანგა,  
ან ავლილი, ან ჩავლილი  
ხომ არ გინახავო?“

შევარდნაძე: — მოდი აქ, ზურიკო, ავერ არის, ვისაც ეძებ.

უვანია: — არა, მაგას არ ვეძებ. ისე, თუ გინდა, მაგასაც ვეძებ.

სარიშვილი: — რა გინდა?

უვანია: — შენ, როგორც გავიგე, მორების ამბავი მაინტერესებს, არა?

სარიშვილი: — მაინტერესებს, აბა, არ მაინტერესებს?



უვანია: — პოლა, ასე შემოგიტოვალა მორების სოფდაგრამა — თავი დამანებოს და ყოველი სამი მორიდან ორი მე და ერთი იმასო.

სარიშვილი: — არა ვარ თანახმა. სამიდან ერთი მორი ცოტაა. შეიდი მე და ხუთი იმას. თუ გინდა, სამი მორიდან ერთი შენი იყოს, საშუამავლოდ.

შემოდის ლანა ღოღობერიძე.

ლანა ღოღობერიძე: — ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა! ბულონის ტყეში რაც ვისიამოვნე, სულ აქ ჩამშხამდა. ვინ ჭრის ამ მშვენიერ ხეებს!

შევარდნაძე: — ჩემო ლანა, ნაჯახი მე მიჭირავს, მაგრამ ისე ყველა ვჭრით.

ლანა ღოღობერიძე: — მუსიე ეღუარდ, ბულონის ტყის მთავარი ტყისმცველისაგან საპატიო მეტყვევის სიგელი ჩამოგიტანეთ.

შევარდნაძე: — მაღლობას მოვახსენებ ბულონის ტყის მთავარ ტყისმცველს. მე სიამოვნებით ვიღებ ამ ჯიღდღოს. შეიძლება ბულონის ტყეც გაჩეხილიყო, მე და ჩემი თანამოაზრეები რომ არ გყოფილიყავით.

საკაშვილი და შაკიაშვილი გაჩანაგებულ ტყეში დადიან.

საკაშვილი: — რა უბედურებაა! ისე გაუკაფავთ ყველაფერი, ერთი ხეც არაა, რომ ამოვეფაროთ. აქ მაროლა ვეროპა კი არაა, დავგინახავენ და თავი მოგვეჭრება.

შაკიაშვილი: — დავგინახონ რა!.. დღეს არავის არ რცხვენია არაფრის და ჩვენ რისა უნდა შეგვრცხვებს. ევროპას კიდევ თვალციც დასდგო-მია!





შეყარდნამე: — მიშკო, ლუიზა, მოდი თქვამს რას დაეხატები ამ ტყეში, სახლ-კარი არა გაქვთ?

შაქიაშვილი: — უი, ქა! ამ კაცმა როდის უნდა დაგვანებოს თავი!

საკაშვილი: — ძია ედუარდ, ვინ გაკაფა ეს ხეები? ვის წარათვით ეგ ნაჯახი?

შეყარდნამე: — შენ კაი ბიჭი ხარ, მიშკო, კაი კითხვებს იძლევი. მაგრამ ჯერ ვერ გიპასუხებ. სამწუხაროდ, დაკავებული ვარ. რაც შეეხება ნაჯახს, ხეს უთქვამს, ნაჯახი რას დამაკლებდა, ჩემი ტარი რომ არ ჰქონდესო. ჰა-ჰა-ჰა...

ასლან აბაშიძე (დურბინიდან იყურება): — როგორც ვატყობ, ეს კაცი ჩემს ზონაში გადმოსვლას აპირებს. არაფერი გამოუვა! ჩემი ზონიდან ერთ ნაფოტსაც არ გავატან. დმერთს მაღლობა უთხრას, რომ, პირიქით, მის ზონაში გადასვლაზე უარი განვაცხადებ.

შემოდის თემურ შაქიაშვილი.  
შაქიაშვილი: — ამ ქვეყანაში სულ არეულ-დარეულია ყველაფერი. ვინ ჭრის ხეებს და ვინ ნებართვას იძლევა, ეშმაკი ვერ გაიგებს!

შეყარდნამე: — თემურ, რა არის აქ გაუგებარი! ხეებსაც მე ვჭრი და ნებართვასაც მე ვიძლევი.

შაქიაშვილი: — მერე მე რა დავაშავე, რატომ არ მძლეუ ნებართვას! ჩემი მეზობელი რომაა, ის კაცი არავის ნებართვას არ უყურებს, ისე კაფავს ჭოროხის ტყეებს და არც არავინ არაფერს უბნება. მე კი ამდენი ხანია პატრონად ვიციდი. არადა. ჩემი შვეიცარიული ფიჩხით გაცილებით მეტი შემაქვს ქვეყნის ბიუჯეტში, ვიდრე იმას მთელი თავისი მორების ქარავანით.

შეყარდნამე: — თემურ, იმ კაცმა ძალიან შემაწუხა და იმიტომ მივეცი უნებართვო ჭრის ნებართვა. ასეთი შემთხვევები ჩვენს კანონებში გათვალისწინებულია. შენ კაი კაცი ხარ და შენ მაინც ნუ შემაწუხებ.

შაქიაშვილი: — აჯამეთის ტყეში რამდენიმე გამომარი მუხა და მისი მოჭრის ნებართვა მაინც მომიცა.



შეყარდნამე: — არ გრცხვენია, თემურ? რატომ გაახბე ის ხეები! ამას ველოდი შენგან?

შაქიაშვილი: — მაშინ ერთი თხოვნა მაინც შემისრულე, აი ის, შარშანწინ რომ გთხოვე...

შეყარდნამე: — კაი ახლა, დამასვენეთ ცოტა. ნუ ამომხადეთ სული. ცოტა ხანში თათბირი

მეწყება ჩვენი ტყის მთავარ ყაჩაღებთან. თემა ასეთია: „ღარბის ართმევს, მდიდარს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა.“ თუ პირიქითა... ერთი სიტყვით, როგორც არის. მთავარი მომსენებელია არსენა, მეტსახელად გია. არსენა, როგორც იტყვიან, კეთილი მთავარი ყაჩაღია. კარგი ვეკნი, ის რომ დაენიშნე მთავარი ყაჩაღების უფროსად. მე დიდ იმედებს ვამყარებ მასზე. ბოროტ მთავრ ყაჩაღებს ვერჯერობით ვერაფერს ვუხერხებ, მაგრამ არსენამ, მეტსახელად გიამ, ახალი გრძელი არშინი გამოთალა და იმისი იმედი მაქვს. ასე რომ, შეინარჩუნეთ სულიერი სიმშენვე. მე მაღლობელი ვარ ყველასი, ვინც მოიგებს, ის მოთმენსო. თუ პიქითა, არ მახსოვს... ჰა-ჰა-ჰა-ჰა...



ერთი სიტყვით, ახლა დამასვენეთ ცოტა.

აკაკი ასათიანი: — დაისვენე, ვინ გიშლის, მაგას გეხვეწებით ამდენი ხანია. შენც დაისვენე, ჩვენც დავასვენებ. უფრო სწორად, შენ დაისვენე და ჩვენ ვიმუშავებთ.

შეყარდნამე: — ვერ იმუშავე, კაკო. კი მეშაობდი ერთხელ, მაგრამ გულმა შეგაწუხა. ისევ მე მირჩენია ვიმუშავო კიდევ დიდხანს. მე მაგარი გული მაქვს თქვენი შემყურე.

გია არსენიშვილი: — მეც მაგარი გული მაქვს. ყველა მორი, აი, ამ გრძელი არშინით უნდა გაიზომოს. ვინც ამას მისხალს დააკლებს, ვაი დედ-იმისის ღმერთსა!..

ლანა ლოლობერიძე: — მუსიე არსენ-გია, ძალიან კარგი იქნება, თუ თქვენ ბულონის ტყეს ეწვევით. მე საიმოვნებით გაგიწევთ რეკომენდაციას. იმედი მაქვს, ბულონის ტყეში შეგხვდებით. მე ძალიან მომწონს თქვენი გრძელი არშინი.

გია არსენიშვილი: — ენახოთ, სადამდე წავალ ჩემი არშინით, მე მგონი, შორს ვერ წავალ.

შეყარდნამე: — ჩემო არსენ, ნუ გეშინია, ჩემი იმედი გეკონდებს. ჩემი ნაჯახის ტარიც და შენი არშინიც ორივე ერთი ჯიშის ხისაა. მე, პირადად, შორს წავიდი და უკან დახევას არ ვაპირებ. ეს კარგად იცოდეს ყველამ. მე დაღლილობას არა ვგრძნობ და ჩვენი ტყის ინტერესებს მომავალშიც ძველებური ენერგიით დავიცავ.

შემოდის პუტინი.

პუტინი: — თქვენს ტყეში რუსეთს თავისი პოლიტიკური ინტერესები აქვს. რუსული ტყე ნადგურდება და იგი რომ გადავარჩინოთ, გვინდა თქვენგან გავიტანოთ მორები.

შეყარდნამე: — ჩვენ გავგებით ვეკიდებით ჩვენი დიდი მეზობლის ინტერესებს. იმედია, რუსეთი არ დაგვრჩება ვალში და საქართველოს მოაწოდის ისეთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პროდუქციას, როგორცაა ჩაი, ღვინო და ლობიო.

პუტინი: — იმედი მაქვს წარმატებით მოვილაპარაკებთ.

აკაკი ასათიანი: — მე წინადადება შემომამქვს, აკურძალის ედუარდ ბაჟუას ხეების ჭრა და ჩამოერთვას ნაჯახი.

უვანია: — ვის ჩავაბართო მერე! შენ ჩავაბართო?... შენ ნაჯახს კი არა, დანა-ჩანგალს ვერ განდობს კაცი!

შეყარდნამე: — მე, მეგობრებო, თქვენზე მეტად მაწუხებს ამ ხეების ჭრა. რამდენსაც ხეს ნაჯახს შემოვკრავ, იმდენი თითქოს მე ჩამარტყეს ფერდში. ბაღნობაში მე ერთი ფოთილიც არ მომიწყვეტია. მამათში რაც ხეებია, ჩემი დარგულია ნახევარი. მე ეს ნაჯახი იმიტომ კი არ დავიჭირებ ხელში, რომ მაინცდამაინც ხეების ჭრა მიხაროდა. მაგრამ სხვა საშველი არ იყო, შიმშილი გვემუქებოდა. ჩვენ კი ყველა ერთმანეთს ვებრძოდით და ქვეყანას ვანგრევდით. მოდი, გავერთიანდეთ, ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ. მაშინ ტყე გადავირჩება და ჩვენც გადავრჩებით სუვევლა. არ ვამბო მართალს?

თევლორადე: — რაც მართალია, სულ მართალია. როგორადაც რომ ბატონი შოთა ვამცნობებს, „ქნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელდა“.

მამუკა გიორვაძე: — რა მართალი, რის მართალი! მე სუყოველთვის მართალს ვიბახი, მაგრამ ვინ მიგვებს ყურს!

ლანა ლოლობერიძე: — არა ხარ სწორი, მამუკა. მე როგორც ბულონის ტყეში მითხრეს, მუსიე ედუარდი ყოველთვის მართალია.

შაქიაშვილი: — რა გააჭირე საქმე, ქალო, ბულონის ტყეში! შენ ჯერ ქიხიყის ტყეში გაიკითხე და მერე ილაპარაკე!

უვანია: — კოლეგებო, ახლა რაღა შეთანხმება მოხდა და ერთ აზრზე მოვედით, მოდი ერთად ვიმღეროთ. ბაბუ, გთხოვთ.

შეყარდნამე (მღერის): „ხეებს ნუ ჰკაფავ, ძმობილო, ტყე დაიცვება, ბრალა, ის ცეცხრი წყარო დაშრება, ყანას მოვკვიჭამს კალია.“



ყველა (არეულ-დარეულად): „ის ცივი წყარო დაშრება, ყანას მოვკვიჭამს კალია.“

შეყარდნამე: „ტყეს ნუ ეყრობი მტრულად, მოყვრულად მოიხმარია, ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია.“

ყველა (არეულ-დარეულად): „ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია.“

უვანია (გამოივანი ხმით): „მამა ხარ, შენი ვალია.“

თევლორადე (ოპერის მოძღვრალივით) — „მამა ხარ, შენი ვალია.“

უვანია და თევლორადე ერთად: „მამა ხარ, შენი ვალია.“

ყველა: — პუუუ-პუუუ-პუუუ, შოკოლად!



# ის ხომ მგაჟვრია კვალარეული

მოვიდა ჩუმი ტკივილით. მზე კი მონატრებულ მიწას ათბობდა. მოვიდა ლაღი სული დედამიწაზე – პოეტი, „ნანადერძევი წამებით“, რომელიც ადამიანის გულებს შეატორტმანებს ისე, რომ არც გაიკვირებს. მიეფერება ფერად ყვავილებს, გზას ჰკითხავს, „ვითომ ვიპოვე ჩემი თავიო?!“ როცა ბინდივით შეეპარება სულში სიმშვიდე, ნელი მესხაძე სტრიქონებს მოეფერება. იქვე პალიტრაც უხმობს და ხატავს მარცხენა ხელით (მარჯვენას ვერ ხმარობს). სიცოცხლეს, ბილიკებს, ცას, ტკივილს, გამიშვლებულ ცაცხვის ხეს, ზღაპრიდან გადმოსულ თეთრ რაშს, რომელიც თვითნასწავლი შემოქმედის სავალ გზას გაასხივოსნებს.

დადის პოეტი და მხატვარი – ნელი მესხაძე გაბზარული სხეულით, რომლისთვისაც „დრო იწელება“, როგორც ზმანება, სამაგიეროდ, „ცა ირთვება და იქარგება გობელენებად“. პატარა, მყუდრო ოთახში აინთება ერთი სანთელი, აფეთქდება ფიქრი და უთვალავ პეპლებს ააფარფალებს ხვალის იმედი. სარკმლიდან მოჩანს უფლის სამყოფელი ცა, რომელიც „დედამიწას ეკვრება ზავით“.

სევდა ჩასაწლებულა თვალის გუგებში, აწყვეტილი ქარი ფიქრს მიშოლტავს და არაფერს ითხოვს, მხოლოდ, ზეციური განგებაო, უბოძეთ „სიყვარულის ნება“, მერე რა, რომ „აკვლევული ორთქლმავალი სიბნელეს სერავს“, ან „დრომ რომ სხეულში გამოიზამთროს“, მერე რაა, თუ ქალბატონ ნელის სიმღერა არ შეუძლია, ვერც საღაღობოდ გააპობს ბავეს, სამაგიეროდ, მოფერება ძალუძს „ახალშობილ ფიქრზე“.

ფთილივით შრიალში ოცნება არ ჭკნება. და წერს მარცხენა ხელით. სიმბოლურია, მარცხენა ხომ ახლოსაა გულთან, ამიტომაცაა მისი ლექსი ასე ახლობელი, გულისძიერი ყველასათვის.

„ამაობის უხმო ტაძარში“ დვას ქალბატონი ვრძობით დაფლეთილი და მიტყეებას თხოვს ყველას „თუ უნებართვოდ ქვეყნად მოვედი“.

სიცოცხლე, როგორც სიკვდილი ნებართვას არავისგან ელოდება. სიცოცხლე ის ძალაა, რომელიც კლავს უიმედობას და ქალბატონ ნელის „სიცოცხლის ყინიც აფრთხობს სიბერეს“.

აუუსრულოთ პოეტს ნატვრა: „შუესთან პირისპირ დამტოვეთ მარტო“... „ის ხომ მგზავრია კვალარეული“.

## ნელი მესხაძე

## ნათია კიკვალიძე

### მომეცით სივრცე

### ჯვრის მონასცრის

### ლოცოლვა

მომეცით სივრცე თავგანწირვისთვის, ბებერ სიხარბის მისაძინებლად, დაიწრიტება ალბათ ყანწივით გრძნობაც, შევსება თუ არ ინება.

წყვილიადის შავი მანდილით განმარტოებით მდგარი, შეყვარებული ქალივით გაფითრებული ჯვარი.

ჰაერი, ჰაერი მკვრივი, ფერები, ფერები მუქი. ლანდები, ლანდები ცივი. შუქი, მიმქრალი შუქი.

მომეცით ნება, დროთა ნაშალი, ისევ დავადგა გვირგვინად მაღლობს, ლაღი ბავშვობა ჭრელი თავშალით კვლავ დავუბრუნო ძველ სამოსახლოს

ლოდინის მძიმე ჯაჭვებით, სხეული დანაბზარი, შევსებას უცდის, მტანჯველი სიცარიელით მკვდარი.

სიცოცხლე, სიცოცხლე მღორე. აზრი, გაფანტული ნისლი. საგალობელი ვოდებს, სისხლი, მაცხოვრის სისხლი.

ჩამომაცალეთ ფერ-უმარული, სამკაულების გამობრწყინება. დამტოვეთ, როგორც ძველი აული და სიყვარულის მომეცით ნება.

მიწიდან გაქცეულა და ცას შეხიზვნია ჯვარი, აუტაცია ლოცვა და ქვეყნის ცოლო და ჯვარი.

იქით და მხოლოდ იქით, არ დაჯერება სიტყვის, არ დაჯერება ხილვის, ხილვა ბნელეთის მიღმის.

მეც ხომ მგზავრი ვარ კვალარეული, ჩემივე ფიქრი ჩემშივე ბარტყობს. ჩამომაცილეთ უცხო სხეული, მზესთან პირისპირ დამტოვეთ მარტო

გათელავს დროის ყვივლს თეთრი ცხენი რომ მიჰქრის, ქროლვის ყინი რომ მიჰქრის, იქით და მხოლოდ იქით.

### მიცვარს

სიტყვა მიყვარს, თუ კი წრფელ გულს დასცდება. უცხო სული, ჭიშკართან რომ დაგზვდება. საიდუმლო, რომ იციან ყანწებმა და გრძნობების პირისპირ შეჯახება.

სევდა მიყვარს ქალის სულში ჩამწვდომი, მოფერება ახლადშობილ ფიქრებზე. ჯავრი მიყვარს საიმედოდ გამწყდარი და შარა-გზა ვერსად რომ ვერ ისვენებს.

მიყვარს ერთი ძარღვიანი სიმღერა, ნაკადულის წელში მტვრევა ქიმებზე. ძალა, ჩუმად რომ გდარაჯობს იმედად, და სიცოცხლე ბევრჯერ რომ გაგიმეტებს.

მოჩვენება, როცა ცხადი გახდება, და წამები წვეთებად დაღვნილი. სიძველეში მიყვარს გადასახლება, ოცნებები, მზის გულზე დაწერილი.



# ქართული ბალადის ფესვები

თეიმურაზ ლომიძე

ბალადის წარმოშობის ფესვები საქართველოში შორეულ წარსულს უკავშირდება, მან განვითარების რთული გზა განვლო. აღინიშნება ეტაპები (საფენურები): I. მოკლე ტექსტი (ლექსი), აგებული ერთ სიტუაციაზე, ანუ ფერხულთან დაკავშირებული მრავალხმიანი ნიმუშები („ამირანი“, „შაველო“, „აღზევანს წავალ“, „ბილი ბეთქილ“, „ია მთაზედა“ და სხვა). II. გრძელი ტექსტი (ლექსი), აგებული 2-3 და მეტ სიტუაციაზე, ანუ ერთხმიანი, ინსტრუმენტული თანხლებით შესასრულებელი ბალადები, რომლებშიც ფერხული გამოირცხვლია („ჯვარჯი“, „ვეფხვი და მოყმე“, „შემომეყარა ყივჩაღი“, „თაფარაველი ჭაბუკი“, „არსენა“ და სხვა).

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ფერხულთან დაკავშირებული ნიმუშების დასაბამი უფრო ღრმაა, შორეულ საუკუნეებში იკარგება, ერთხმიანობისა — არაუგვიანეს VII საუკუნეში. კერძოდ, მრავალხმიანი ბალადის უძველეს ფესვებს გვიღვავსტურებს ეროვნულ სახალხო გმირ ამირანზე შექმნილი ბალადური ხასიათის ლექს-სიმღერები, რომლებსაც ფერხულთან ერთად ასრულებდნენ ჩვენში, ასევე, აქ არსებული საწესო-საგაზეთული ჩვეულება, რომელიც, მსგავსად სხვა ქვეყნისა (ძველი საბერძნეთი, ინგლისი, გერმანია, რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, სომხეთი...),\* — I. „არესიონა“ (ძველ საბერძნეთში), „to go a maying“ (ინგლისში), „Holzfattag“ (გერმანიაში), „აკლინატი“ или гукать весну (რუსეთში)...

საქართველოშიც ძველთაგანვე წესად ჰქონდათ: „ადრიან გაზაფხულზე, როცა ნუმი იწყებდა ვეჯვოლობას, ქალაქის მცხოვრებნი დილაადრიან სიმღერებით მიეგზავრებოდნენ ქალაქგარეთ გაზაფხულის შესახვედრად. იქ, ისინი ნუშის ვეჯვოლებით შემკულნი მზიარულობდნენ, ატარებდნენ დროს და საღამოს კვლავ სიმღერით და ცეკვით ბრუნდებოდნენ ქალაქში“ („Кавказ“, 1888, B 112).

აღსანიშნავია, ასევე ძველი ქართული საწესწველებო სანახაობანი ბერიკაობა-ყვირება, ყველიერში რომ სრულდებოდა, მასთან დაკავშირებული სიმღერა-ცეკვების თანხლებითა და ნიღბებით. ნიღბოსანთა საფერხულთა მითოლოგიურ-რიტუალურ სანახაობას და მისი სიძველეს გვიდასტურებს აკადემიკოსი ბორის კუჭენინი თრიალეთში აღმოჩენილი ვერცხლის სასმისით (დათარიღებული ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შუა ხანით), რელიგიურად გამოხატული უძველესი სახილველით — ნიღბოსანთა ფერხულის სცენით.

სახალხო მომღერალ-მემუსიკეთა შესახებ ნათქვამია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“, ნიშანის პოემებშიც... იგივეს გვიდასტურებენ მეოსნები (ანუ მუტრანინი). მეოსნების ხელოვნობა, რომლებიც ტრუბადურების მსგავსად, სიყვარულის მენობტზე სახალხო პროფესიონალი მომღერალ-მემუსიკენი იყვნენ ჩვენში.

ცეკვისა და სიმღერის ორგანულ კავშირზე მიგვანიშნებს ვახუშტი ბატონიშვილის „ეკრატა დღესწავლის“ აღწერილობისას. აგრეთვე ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე (V საუკუნე ჩვენს ერამდე) თავის ნაშრომში — „ანაბასისი“. რაც შეეხება სხვა მკვლევარებს (მიხეილ ჩიქოვანი, პ. უშაკოვი), მათი აზრით თრიალეთში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე გამოხატული საწესწველებო-სარიტუალური სიუჟეტი გუნდური ცეკვის უძველეს სახეობაზე — ფერხულზე მიგვითითებს, ხოლო, თუ გუნდური ცეკვა ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეული II ნახევარში ქართველი ხალხის წინაპართა მიერ დიდი ოსტატობით შექმნილ ძვირფას მატერიალურ ძეგლზე (ამ შემთხვევაში — ვერცხლის თასზე) აისახებოდა, უდაოა მისი წარმოშობა — ამ ხელოვნების ჩასახვა გაცილებით უფრო ადრე, უძველეს პრეისტორიულ პერიოდს მიეკუთვნება. ამასვე მეტყველებს სხვა, უფრო ადრეული პერიოდის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, იგივე სტეფანწმინდის (ყაზბეგის რაიონი) განძში აღმოჩენილი ქანრის (ლირის) და ცეკვის (ფერხულის) ამსახველი ფრაგმენტები, დათარიღებული ძველი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეებით.

გუნდურ ცეკვას წარმოშობისთანავე უთუოდ თან ახლდა სიტყვათა გარკვეული მარაგი, რომელიც თავისი ჩასახვის პირველ საფენურზე შეზღუდული იყო, ხოლო შემდეგ თანდათან გაფართოვდა, განვითარდა და ბოლოს საგუნდო-საცეკვაო სიმღერის სახე მიიღო. ამ უკანასკნელის (საგუნდო-საცეკვაო სიმღერის) წარმოშობა და განვითარება უშუალოდ იყო დაკავშირებული ადამიანის საარსებო საშუალებათა წარმოების პროცესთან. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იმ დროს, როდესაც ადამიანის გონება განუვითარებელი, შეზღუდული იყო, როდესაც საზოგადოება განვითარების დაბალ საფენურზე იდგა, შეიქმნა რწმენა ზებუნებრივი ძალებისადმი, ღვთაებებისადმი, რასაც თან ახლდა განსაზღვრული საწესწველებო ცერემონიული (მოსავალი რომ უხვი და ბარაქანი ყოფილიყო, რაც განაპირობებდა ადამიანის ბედნიერ ცხოვრებას, ხალხი მსხვერპლს სწირავდა ღვთაებებს). ამის ნათესაყოფად საკმარისია დავასახელოთ ჩვენში არსებული საწესწველებო ცერემონიულების ტრადიციანი გადმონათობების სახით დღემდე რომ შემოინახა. მაგალითად: სვანეთის მკვიდრი ზეიმობენ ეწ. „ჭურჯამობას“ ანუ „ლომურჯამალ“ (კომპობას). ამ დღესასწაულს თან ახლდა რვა სხვადასხვა ჩვეულების შესრულება, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს ფერხული — „ჭიშხაშ“ (ხემოსვანური „საბიო-ჭიშხაშ“). ამ უკანასკნელის თანხლებით სრულდებოდა ხოლმე დატირება დღეობულ მონადირე ბეთქანზე. ამ მონადირის შესახებ არსებობს ციკლი სიმღერებისა, რომლებიც სვანურ ბალადებს წარმოადგენს, ხოლო უძველესი საგუნდო-საცეკვაო სიმღერები, რომლებიც ძველ საქართველოშია გავრცელებული, სწორედ საწესწველო-სარიტუალური სანახაობებზე სრულდებოდა. ბუნებრივია, არსებობს კიდევ მთელი რიგი სხვა დღესასწაულებისა და მათთან დაკავშირებული სიმღერები და ცეკვები, რომლებიც ასევე სრულდებოდა ბერიკაობა-ყვირების დროს,

აღდგომასთან, ახალ წელთან (შობასთან), გიორგობასთან — „ეთერ გიორგობას“ და სხვა დღესასწაულებზე. მაგალითად: „ჭონა“, „აღილო“, „მზე შინა“, „იავ ნანა“, „დიდება“, „აღილე“, „ლომისა“, „ფერხული“ ანუ „ფერხისი“ და სხვა, რომლებშიც „აირეკლა ქრისტიანობამდე ეპოქაში ქართველი ხალხის რელიგიური რწმენა და მისი წარმართული სამუსიკო კულტურის გადმონათობები, კვლავ ძველი ქართული ხალხური სათავატიო ხელოვნებისა და უქმედლობისა“ (გრეგოლ ჩხიკვაძე, „ძველი ქართული სამუსიკო კულტურა“, 1948 წ.). ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომელშიც აღდგომის წესია აღწერილი: „შექმნიან ნაღმინი და პურობანი დიდნი მეოსან-სახიობთა, არამედ კთალიკონნი და ეპისკოპოსნი, ვიდრემის იყვნენ მუნ, არა იყო მწყობრობა ძალთა ცემანნი, არამედ გალობანი, ხოლო შემდგომად წარსვლისა მათისა იყო მეოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობთა ცემანი“ („ქართლის ცხოვრება“, ტ. IV).

წარმართული კულტურის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია „დედაცეკვების ფერხულიც“, მასთან დაკავშირებული დათვის კულტი. დიმიტრი არაყიშვილის გადმოცემით დათვი მამაკაცის სახით არის წარმოდგენილი და „დედაცეკვების ფერხულის“ მთავარი მონაწილეა. იგი დათვის ნიღბით მეფერხულე ქალების წრეშია მომწვევდელი, რომლებიც უძველესი მას და თან დავალებებს აძლევენ. აკეთებენ რა სათანადო მოძრაობებს, იგი ზოგჯერ ისეთ შეუფერებელ რამესაც მიიმთქმნენ, რომ ქალები წვილ-კვილით იშლებიან...

„დედაცეკვების ფერხულის“ პოეტური ტექსტის პირველი ორი ნაწილი ქართული ხალხური სიმღერა-ბალადის — „ია მთაზედა“-ს ვარიანტებია:

იმა მთაზედაო, იმა მთაზედაო  
ითოვლე თოვლო, ითოვლე,  
თოვლო ითოვლე,  
იმა მთაზედაო, თოვლიანზედაო  
ია დავთესო, ვარდი მოსულაო,  
შიგ ირმის ჯოგი იყოო,  
შიგ შეჩვეულაო,  
ნეტამც ეძინათო, არ გაეთელნათო...

პანგი ინტონაციურად შეზღუდულია, ერთფეროვანი, და ფერხულის რიტმშია წარმოდგენილი, შემორჩენილი აქვს არქაული ფორმები, დამახასიათებელი სინკაპური რიტმი, ინტონაციური შეზღუდულობა, ერთფეროვნება. შედგება ოთხი მუხლისაგან, ყოველი მათგანი მთავრდება კაილის ტონიკაზე, მისი განმტკიცებით (ორჯერ განმტკიცებით), სოლო იწყება კვარტული ბგერითან (II-III-IV კი ტრაციტიდან), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს „დედაცეკვის ფერხულის“ შორეულ ღრმა ფესვებს.

აღნიშნული საფერხულო სიმღერა და ჩვენს სასიმღერო პრაქტიკაში შემონახული მთელი რიგი სხვა საფერხულო სიმღერები, რომლებსაც ძირითადად სახალხო მიქმედები — მესტიერები და მეფანდურენი ასრულებდნენ და აგრეკლებდნენ (მსგავსად მენესტრელებისა და ტრუბადურებისა), გვიდასტურებს, რომ ჩვენშიც ასევე ძველთაგან არსებობდა ხალხური ბალადური ხასიათის ლექს-სიმღერები, ბალადები, და მათი შემსრულებლები ასევე სინკრეტული ტიპის მსახიობები იყვნენ: თავად უკრავდნენ და მღეროდნენ, და პანგისა და ტექსტის შემთხვევლიც ხშირ შემთხვევაში თავადვე იყვნენ, რომ მათი პოეტური და საინტონაციო ელემენტები თავის სათავეებს წარმართული ეპოქის შორეულ საუკუნეებში უკლებს.

როგორც ვხედავთ, ბალადს ძველად რიტუალური ფუნქციაც ჰქონია (ეს კარგად ჩანს სვანურ ფერხულში — ბალადებში). ამიტომაც ძველ ქართულ საფერხულო სიმღერებს ბალადური ხასიათი აქვს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხალხური შემოქმედების ფანდორივი კლასიფიკაციის დროს ბალადის განსაზღვრისათვის დამახასიათებელ ნიშნად მართლ სიმღერის საგუნდო-საცეკვაო ხასიათი მივიჩნიოთ, ეს განვილილი ეტაპია. ამჟამად საგუნდო-საცეკვაო სიმღერაზე ხშირად უსიტყვო, მოკლე ტექსტებიც სრულდება (მაგალითად: სვანური „ფერხული“ — ჩაწერილი ვლადიმერ ახობაძის მიერ, მოხვეური „საფერხული“ — ჩაწერილი ვლადიმერ ახობაძის მიერ, და სხვა). ყოველივე ეს კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ქართული ხალხური ბალადის განვითარების ეტაპებს, საფერხურებს, რის შემდეგაც მოაღწია ჩვენამდე. იგივე ვგაძლევს საფუძველს დაბეჯითებით ვთქვათ: მკირე, მოკლე ტექსტის, მარტივი კალეტური ფორმის მქონე, ინტონაციურად შეზღუდულ და ერთფეროვან მრავალხმიან საგუნდო-საფერხულო, არქაული ტიპის ბალადებთან — გრძელი ლექსის შემცველ, ხალხური საკრავის თანხლებით შეასრულებდნენ, ერთხმად, მელიოდინარებულ რეჩიტატივისა და განვითარებული პანგის, შედარებით რთული, ვარიაციულ-ვარიანტული კულეტური ფორმის მქონე ბალადებამდე, სადაც თხრობა დრამატულ გამაფრებებს აღწევს, — ასეთია ქართული ხალხური ბალადის განვითარების გზა, რომელიც შორეულ პრეისტორიულ წარსულში იღებს დასაბამს.



# რითი გაგონია ეს შავბუნა ბიჭი?

## ჯეპალ მხარეშილი

თბილისში, ვაკის ერთ მშვენიერ კუთხეში, რომანტიკულად შეფერდებულ ადგილას, ორიგინალური სამსართულიანი სახლი შენდება. მუშების გატანჯულ სახეებს რომ დააკვირდეთ, სევდა მოგერევთ: ნივთიერ სილუზჭირის ვიდასთვის არ ჩაუცმევია დახეული ჯღანები და ძველმანები! თქვენ წარმოიდგინეთ, მათში მხატვარი და მწერალიც კი ურევია!

ძვირფასი უცხოური მასალებით გადატვირთულ ეზო-ყურეა და შიშველ შენობაში დიდიდან საღამოდღე, ორშაბათიდან ორშაბათამდე არ წყდება ელექტროხერხისა და რანდის ღმულ-წივილი, ელექტროშედლების წყვეტილ-წყვეტილი ყუმბარისებური ბათქაბუთი და დამარბამეველი ნათება, მეთუნუქის ჩაქუჩის სალაშქრო დოლისებური ბრაზბარუხი, ფურცლოვან რკინაზე ბეტონის ამრევი ხუთთიდე გაუშადარი ვებებრთელა ნიჩბის თავშესაწყენი ხრაპახრუპი, ფიურერის ბუნკერის საკადრის რკინის მასიურ კარებზე ელექტრობურღის ყურისგამხვრეტი მშრალი წვივილი...

და ყოველივე ამის ფონზე დროადარო პირდაპირ ბახის ღვთიურ, დამაწყნარებელ მუსიკასავით ჩამოისხის ქაფის ტარის ფრთხილი, მსუბუქი და გამოთვლილი ჩქაფუნია! გამოცდილი კაცი უმაღ მიმიხვდება, რას უკაემირდება ასეთი მინორული ხმა. ხოლო ვინც ვერ მოსულა აზრზე, მას სახელდახელოდ გადებუთი მორყეული კიბით სიამოვნებით წაუქმდვები და დაკათვლიერებინებ განსაცვიფრებლად ფართო სამზარეულოსა და საბაზანოში, როგორ იგება ესპანური კაფელი, რომლის ზღაპრულად ნახიდულმაი ფერები ტლანქი გონებისა და ჩლუნგი წარმოსახვის მქონე ადამიანშიც კი უქცარ ვარდასახვას მოახდენს და ოცნების გუნებაზე დააყენებს.

კაფელს განუხრელი უხადობით აკებს თავისი საქმის უხადო ხელმარჯვე ოსტატი, ოცდათხუთმეტობდე წლის ზაზა. მაგრამ ამჯერად ლაპარაკი იქნება არა მასზე, არამედ მის ვაჟზე, ალიკაზე.

მერვეკლასელი ალიკა სტეფანიანი მხოლოდ ცამეტი წლისაა, მაგრამ ისეა გაწაფული კაფელის გასინჯვა-შერჩევა-დაჭრა-დაგებაში, რომ კაცს გააკვირვებს. ეტყობა, ეს მათი დინასტიური ხელობა, კუთვნილება თუ ბედისწერაა: დიდი პაპა რაფიკა, მამა და მამიდაშვილი, ჩვიდმეტობდე წლის არმენიკაც მეკაფელეები არიან. მაგრამ ალიკა სულ სხვა ყაიდის ყმაწვილია, რომლის მსგავსაც, ალბათ, იშვიათად შეხვდებით. ასაკთან შედარებით ოდნავ მაღალია: შავტუნა, აღნავი და ტანსწრაფი. ხორბლისფერ სახეზე ცოცხალი, მოუსვენარი თვალები უცემციმებს. იგი პირდაპირ გაჭირვების ტალკვესია: ვინც რა უნდა დაავალოს

— ეს მათ ხელობა-საქმიანობას ეხება თუ არა, არა აქვს მნიშვნელობა — ელვისებურად უსრულებს! პირდაპირ განსაცვიფრებელია: ამ ბიჭუკულამ უშეცდომოდ იცის ობიექტზე უხვად არსებული ყველანაირი სამაშენებლო მასალისა და ათასგვარი სახელოსნო იარაღის სახელი, დანიშნულება, თვისება, ღირსება, ნაკლი, ღირებულება და... ხმარება-გამოყენებაც!!!

როგორც კი მცირე თავისუფალ დროს იშოვის, მამას თვალსა და ხელ შუა გაუძერება ხოლმე და თვალგაფაციცებით აკვირდება დურგლის, მეთუნუქის, ელექტრიკოსის თუ სანტექნიკოსის საქმიანობას.

— რა ყველას აკვირდები, — უშნოდ ეკრიჭება ერთ-ერთი მუშა, რომელსაც წელი მოწვევტილი აქვს ტონობით ცემენტის ტომრების ზიდვისაგან, ხოლო ხელები და მხრები დათუთქული — პირდაპირ სამიქროდან მოტანილი ცხელი გავით დაძეკილი ტომრების ჩამოცილისაგან, — მეკაფელეობა არ გეყოფა?

— ვა, ელი, არ გაგიგონია ანდაზა: რამდენი ხელობაც იცი, იმდენი კაცი ხარო. რა იცი, ცხოვრებაში რომ გამიჭირდეს, მეც თქვენსავით ოთხმოცილობიანი გავის ცხელი ტომრების ზიდვით ჩაიწყვიტო გულ-მუცელი და შევიბრაწო ზურგი?

განცვიფრებულმა მუშებმა ერთმანეთს გადახედეს.

— თუ მაგრეა — შეესიტყვა შუახნის გოგია შამანაური, — მოდი, ელექტროშედულებასაც გასწავლი!

— შორიდან გითვალთვალებდი და უკვე ვისწავლე! — თავაზიანად, თუმც ერთგვარი მამლაყინწური თავმოწონებით პასუხობს ალიკა და რაკი დაინახა თუ მოეჩვენა, რომ ნათქვამი ბაქიაობად ჩაუთვალეს, აიტკრიცა, — რა, არა გვერათ? აბა, მიყურო!

ალიკამ ელექტროპულტზე ინდიკატორით უმაღ მოძებნა პლოუს-მინუსი ფაზები, ტრანსფორმატორის დახვეული კაბელები აუშვა, ჩართო დენის წყაროში. მერე ჩანგალს ელექტროდი გაუკეთა და დაზგაზე გადებულ კუთხოვან რკინას კოდალასავით გაბედულად ჩაუკაქუნა, რასაც ყრუ ბათქუნი, ნაპერწკლის წვიმა და ცისფერი ნათება მოჰყვა.

— კარგი, კარგი, გცოდნია! — მიაძახეს აქეთ-იქიდან, — ეგ რკინა არ გააფუჭო!.. ეს რა გაიზრდება კაცო!.. ყველაფერში ოქროსხელიანი ოსტატი დადგება. ეგეთი იცხოვრებს, მა რა იქნება!..

ამ პატარა ბიჭის სიტყვა-პასუხსა და იუმორს არ იკითხავთ ახლა?!

— ალიოშა, — ეხუმრებიან მუშები, — სომხური სახელები აღარ იყო, მამაშენისთვის ქართული სახელი — ზაზა დაურქმევიათ?

— აბა, როგორ! — ალიკას პაწია ეშმაკუნები დაუხტიან მკვირცხლ თვალებში, — სადაც წახვიდე, იქაური ქუდი დაიხურეო!

— ალიკჯან! — არ ასვენებს ქეიფის მოყვარული დათო კეკელაშვილი, — როდის წავიდე თ სევანის ტბაზე იშხანის დასაჭერად?

— ჯერ არაგვის კალმაში ამოვლიოთ! — პასუხი მზადა აქვს ნორჩ მეკაფელეს, — იშხანი სად გაგვექცევა — სევანი ხომ სულ ერთ ადგილზე დგას, ელი?!

— ალიკ, ალიკ, — მალ-მალ უმეორებს ელექტროშედლებელი გოგია შამანაური, — რატომ ცოლს არ მოიყვან?

— ჯერ რა დროს ჩემი ცოლია?! — გულწრფელად უკვირს ყმაწვილს და წითლდება. თან ვერ მიმხვდარა, რა უნდა და საით უმიხნებს მოსაუბრე.

— არა, არა, — თავისაზე დგას შამანაური, — უნდა დაქორწინდე!

— დაა! კი, მაგრამ ასე რატომ გაინტერესებს ჩემი დაქორწინება?

— როგორ თუ რატომ?! შენ ჭკვიანი და მშრომელი ბიჭი ხარ, კარგ, ლამაზ გოგოს მოიყვან, სიღვირც ლამაზი გეყოლება და იმ სიღვირს, როგორც მამაკაცს, მე გადმომილოცავ!

— რატომ შენ? — უკვე სერიოზულად ეპაექრება ალიკა, — ბარემ მამაჩემს გადაუწოლოცო?

მუშები სიცილით იხოცებიან, გაწბილებული შამანაური კი უმწოდ შლის მკლავებს.

— მერე ბიჭო და, სიღვირც ხომ ნათესავი გახდება და ნათესაობაში ეგ როგორ იქნება?! ამიტომ მე უნდა შემახვედრო, მე!

— რატომ შენ? ჩემი ბარემ ჩვენთან დარჩეს?!

ობიექტზე მუშაობა ზუსტად ცხრის ნახევარზე იწყება. დაგვიანებული სამუშაოს კარგავს. მეკაფელეები კი, როგორც წმინდა ხელობის დამოუკიდებელი კასტა, თავიანთი სურვილისამებრ მოდიან — ასე 10-11 საათზე. აი, დილა მიიწურა, მუშებს ქანცი გაუწყვიტა თვითმცლელზე წინადლით უროთი მონგრეული ვებებრთელა ლოლების ტვიროვამ.

— სადა ხართ აქამდე, ზარმაცო ძმანო სომეხნო! — კენწლავს ახალგამოჩენილ მამაშვილს გახვითქული მიხო ქობულაშვილი. ამ სიტყვებზე მამა — ზაზა სტეფანიანი მიმტვევებლურად იღიბება, ალიკას კი ცუდლუტურად უციმიმებს თვალები.

— ვაა, ძმებო ქართველებო, სად გიმოვიათ მაგისხო ლოლები?!

— გვიმოვიათ თორემ?! დიდი საშოვნელიც ეს არის! — ხენგმა-ხენგმით პასუხობენ აქეთ-იქიდან და თან ხუმრობენ, — რობერტ კოჩარაიანს დაურეკავს საქართველოს პარლამენტში და მისი ხათრით საწყობიდან გამოგვატანეს!

ერთხელ ალიკა ცემენტის ხსნარს ამზადებდა. ერთ-ერთი მუშა სიყვარულით, თუმცა ერთობ უხეშად, გაეხუმრა — ზურგიდან აგურის ნატეხი ჩაუგდო ტაშტთან ჩაჩოქილ ყმაწვილს და ზედ ხსნარი შეატყავა. ამას კი არ მოელოდა პატარა ოსტატი.

— რას შერები?! ამხელა კაცი ხარ, ქუდი გაფარია!

მუშები სიცილით ჩაბჟირდნენ.

— მაფარია რა — ქვევრი ვარ თუ ქუდი?! — იწყინა იმან და ასწავლა, — უნდა თქვა — გახურავს-თქო!

— ვიცე, განა არ ვიცე! — ნიშნისმოგებით მოუჭრა ალიკამ.

აი, ასეთი საყვარელი ბიჭია ალიკა და როცა ის ობიექტზე არ იმყოფება, ყველა თითქო მოწყენილად გრძობს თავს. ყველამ გულწრფელად შეიყვარა და მათ შორის მწერალმაც, თუმცა ამ უკანასკნელს ზოგჯერ სევდა დარევდა ხოლმე ხელს. სევდის მიზეზი კი აი, რა იყო.

იქვე, წაბლებით დამრდილულ ქუჩაში, ალიკას კბილა ქართველმა ბიჭებმა იცოდნენ თავშეყრა. ისინი მთელი ზაფხული დიდიდან დაღამებამდე ასე უსაქმოდ იხსდნენ და დროს უცხოურ მანქანებზე, დოლარზე, ფეხბურთზე თუ სახელგანთქმულ მაფიოზებზე უსაგნო და ზერელე ლაყბობით კლავდნენ. მწერალი



### ნახი ჭელი

#### სიცოცხლის ზეპირი კიბე

ჩემი ლანდით დაედივარ,  
პერანგად დარდი მაცვია,  
სიცოცხლის ბეწვის კიბეზე,  
საერთოდ თუკი ჩაფივარ,  
ხან ზომ მზისკენაც ავდივარ,  
გალაქტიკაშიც გავდივარ,  
მთვარეზე, ო, რა ხანია,  
საკუთარ ფეხით დაედივარ,  
მაგრამ მე მაინც ამ ქვეყნად  
ლანდით ჩემი დაედივარ,  
დარდის პერანგი მაცვია,  
მესხის ჩივილი ყველა ხის,  
მესხის ტკივილი ყველა ქვის,  
რაც ბალახია, რაც ია,  
მესხის რას ჩივის ყოველი,  
ამ ქვეყნად წუთით მყოფელი,  
და რად არ მოსწონთ მათაც ეს  
მაცთური წუთისოფელი, —  
და რად ჩივიან მუდამაქამს,  
რაც ბალახია, რაც ია,  
სიცოცხლე მოჩვენება,  
ცხოვრება დეკორაცია!!

#### ღღის გამიხსენა

ღღეს გამიხსენა გულის ტკივილმა, —  
— ძველმა იარამ,  
თითქოს შემთხვევით რომ შემხვდა და  
უსიტყვოდ გვერდი ვერ ამიარა,  
სიზმარი ვიყავ, — დღემდე სიზმარი, —  
— ცხადი კი არა,  
ჩამურჩულა და თავზე კვლავ ცისფერ  
ღრუბლებით გადამიარა...  
... მერე კი, მერე ფრთათებრმა ფიქრმა,  
— ჰო, მასზე ფიქრმა,  
ეს ზღა-ზმელითი, კვლავ მერამდენჯერ,  
შემომავალი, შემოიარა,  
ის კი, ის თურმე, ო! კვლავაც ისევე,  
ჩემს გვერდით იდგა,  
და ეყრა ხელში ცისფერ მზის სხივით  
სავე ფილა,  
მანიშნებელი, ანუ დასტური,  
ჩემი გულების ციურ ციალად!

#### სიზმარ-ცხადი

... და მეხებოდნენ შენი თითები,  
ჩვეული კრძალვით და მორიდებით,  
ჩვენ თითქოს სადღაც ერთად ვიყავით,  
ერთმანეთისგან გაურთიყავით  
და იმლებოდნენ მიწად ტოტები,  
ზეცად კი ძელქვის თეთრი კვირტები...  
— და მარტო ახლა, სიზმრად კი არა,  
ცხადშიც მოვლო, მოვლო მალე,  
მოვლო, განახავ,  
რომ მოგიჩინო სულის იარა,  
— ჩამურჩულა და, ჩემს თვალწინ ცისფერ  
მზის სხივთაგანმა, ციური გამა,  
უცებ ანთო, ააბრიალა...  
...და მართლაც, მართლაც მოვიდა იგი,  
ისე უხმოდ და ისე უცერად,  
რომ არაფერი გამიგია რა,  
და მაცნო თავი, მე ვარო — იგი,  
მე ვარო — იგი, ვინც შენთან მოსულა,  
სიზმრიდან დღემდე, ასე ძალიან,  
ასე ძალიან, დაავიანა!!

რამდენჯერმე გაერია მათ მარაქში და სცადა,  
შენებლობაზე შეეხვია ისინი.

— დააკვირდით და ისწავლეთ, როგორ ირევა  
ბეტონი, კალატოზი რანაირად უხამებს  
ერთმანეთს აგურებს... არ ვინდათ, იტოლეთ  
პარკეტისა და კაფელის დაგება?! ძალიან  
გამოცდილი ელექტრიკოსი გვეყავს: ყველაფერს  
გასწავლით და შინ რამე რომ გაგიფუჭდებათ,  
მონტორის მოსაყვანად დრო და ფული აღარ  
დაგეხარჯებათ...

პასუხები? უნდო გამომეტყველება. ეჭვიანი  
მზერა, იქნებური ჩაცინება, უნიათო ღიმილი,  
ზარმაცული თავჩაღუნვა...

ერთ-ერთი ასეთი ჩაგონებისას მწერალი  
კინდა ამ ხათაბალაში გაეხვია. აივანზე  
გადმომდგარმა თეთრმკლავებმა ქალბატონმა,  
რომელიც კარგად ვერ გაერკვა ვითარებაში,  
ის კი კარგად მოისმინა, რომ ძველმანებში  
გახვეული ვიღაც კაცი ბიჭებს სადღაც  
ეპატაიებოდა, იგი მანიაკად თუ რაღაც  
აზღვარად მიიღო და გესლიანად გადმოსძახა.

— მანდ ვინა ხარ და ამ ბავშვებს სად  
ეპატაიები?! ახლავე გამოვიძახებ პოლიციას!!!

— აი, ამ მშენებლობაზე მუშა ვარ, ქალბატონო,  
— მიუგო ნირწამხდარმა მწერალმა და მოკლედ  
და დალაგებულად აუხსნა, თუ სად და რისთვის  
„ეპატაიებოდა“ ბავშვებს.

— ეგა მაკლია სწორედ, ჩემმა შეიღმა მთელი  
სიცოცხლე შალაშინი აფხაკუნოს!.. ანდა  
მეყოფე გახდეს, კარდაკარ იწინაწალოს და  
ქვეყნის ჯამები ლოკოს!.. წადი, შენ შენს საქმეს  
მიხედო... ბავშვებო, შემოდით შიგნით!

მწერალი გულმოკლული გაბრუნდა  
სამშენებლო ობიექტზე. თუცა ერთი კვირის  
შედეგ მაინც გატყდა ნავსი. შუადღისას მუშები  
ეზოში მიმსხდარიყვნენ, გაეშალათ თავიანთი  
ღარიბული სუფრა და მადიანად ილუკებოდნენ.  
სწორედ მაშინ გამოჩნდნენ წელან ნახსენები  
უხნის ბიჭები. მწერალი სიხარულით ცას ეწია.  
სუფრიდან ადგა და ბიჭებს მიეგება.

— მოდით, ბიჭებო, მოდით, ნუ გერიდებათ, —  
მარილიანი ღიმილი მიაკება გაუბეჯად მომაჯალ  
სტუმრებს, — აი, მალე შეუდგება ყველა თავის  
საქმეს და ვისაც რა გაინტერესებთ და რის  
სწავლა გსურთ...

— არა... ჩვენა... ისა... — დაიმორცხვეს ბიჭებმა  
და ერთმანეთს უმწოდ გადახედ-გადმოხედეს,  
რათა რომელიმე მათგანს გაემჟღავნებინა  
სათქმელი, — ჩვენ... ერთი ამოდენა ფანერა  
გვერდებოდა... ავერ მისი ნახევარიც გვეყოფა!

და აქ ყმაწვილმა თითით ანიშნა ქარვლიის  
ასეგბად დაწყოილ ფიცრებზე დებული ფანერი,  
რომელიც ბოლოდან სამიოდე მტკაცველზე  
ნახევრად გადახერხილი იყო. — მოახერხეთ,  
შეიღო, მაგას როგორ დაგიჭერთ! — აღერსიანად  
უპასუხა ღურგალმა როენ დვალმა და ჭამა  
განავრძო.

ბიჭმა უგერვილოდ აიღო ხერხი, ძლივს  
გაატარა გადანახერხში, მაგრამ გახერხვა ვერა  
და ვერ დაიწყო — ეტყობა, ავლეუბისგან ხერხს  
მეტისმეტად აწეებოდა.

— რანაირად აჭერ? — შეუტია მეორემ, —  
მოიტა აქა!

იმ მეორემ ხერხი მეტისმეტად დააირიბა  
და ისე მსუბუქად გაუსვა, რომ დაცერებული  
ხერხი გადანახერხიდან ამოუხტა და ცოტა  
გაწყდა, კბილასრი იარაღი ხელის ზურგზე არ  
გადაისვა.

— ოოო, მაგრე არა — რამე ფათერაკს

გადაკიდებთ! — წამოიძხა ლუკმაგადაცლაქულმა  
ნოდარ მანგოშვილმა და ალიკა სტუფანიანს  
გადაულაპარაკა, — ალიოშკა, ნუღარ ამაყენებ —  
ერთი შენებურად გაუსვ-გამოუსვი.

ალიკა წამოფრინდა, ფანერი გაისწორა,  
ქართველი თანატოლებისგან დაზგაზე ცივად  
დადებულ ხერხი მოიმარჯვა და თვალის  
დახამხამებაში მოახერხა.

— ინებთ! — ზრდილობიანად გაუწოდა  
მონახერხი ფანერი და შავი,  
მრავლისგამომხატველი შავი თვლები თავისი  
უპირატესობის შერქმების განცდით შეანათა  
საკუთარი უგერვილობით დამორცხველ  
ქართველ თანატოლებს, — თუ კიდევ დაჭირდეთ  
რამე, აქა ვარ!!!

ბიჭებმა გამოართვეს ფანერი და წავიდნენ.  
მწერალმა მიძველებს იმედიანი მზერა გააყოლა.  
„ალბათ ხელობისკენ გული მოუბრუნდათ და  
სახელდასულოდ რამის გაკეთება გადაწყვიტეს!  
დასაწყისისთვის ესეც კარგია!“

სამწუხაროდ, მისი მიედი და სიხარული  
ხანმოკლე გამოდგა. საღამოთი, შინ  
წასასვლელად უქნაში რომ გამოვიდა, ისეთი  
რამ დაინახა, ტუცრად სასო წარეკეთა: ბიჭები  
იმ ფანერს შემოსხდომოდნენ დიდი კაცების  
ამკარა წაბაძულობით და ყოველად უსარგებლო,  
ბრიყვოთათვის განკუთვნილ და გონების  
დამაჩლუნგებელი თამაში — დომინო  
გაეჩაღებინათ!!! მანერები, უხამსი ჟარგონი და  
გრემასები გაცვეთილი ნაკაცრებისა ჰქონდათ.  
ყოველივე ამას „გენიალურად“ აგვირგვინებდა  
კლიმუტცკული: „ვა, ტო, ჩემი დედა...“

ობიექტზე ასახიდ სიღის ტომრებზე  
მწერალი მუხლმოჭრილი დაეშვა. აი, თურმე  
რისთვის სდომებიათ ის ფანერის ნაჭერი... მე  
სულელს კი მეგონა... უუუუ, ქალაქი ჭუჭყსა  
და ნაგავში იძირება, ყოველდღე კი რამოდენა  
ენერგია იკარგება უქმად ამ ნარდის ჩხრიალსა  
და დომინოს ტყაპუნში... ეს ყმაწვილები ასე  
უაზროდ გაღვევენ ყველაზე საუკეთესო წლებს  
და ისე შევლენ ვაჟკაცობის ასაკში, არ  
ეცოდინებთ ნედლ ხეში ლურსმნის ჩაყვანა,  
გადამწვარი უთოს შეკეთება, ჩამოვარდნილი  
კაფელის მიკვრა, მინის დაჭრა-ჩასმა... მაგრამ  
ეგ არაფერი, სამაგიეროდ სუფრის აკადემიკოსთა  
გრძელ რიგებს შეავსებენ: აბა, როგორ, ქართული  
სუფრა ზომ აკადემია! ოჰ, პირმოთნობავ და  
თავმოტყუებავ!

ამასობაში დანარჩენი გადაცემული მუშებიც  
ყაყანით გამოიშალნენ.

— დღეს რამდენი კვადრატული მეტრი  
კაფელი დაავეთ, ალიკ? — შეეხმინა ჯემალ  
ლვინჯილი.

— სამი.

— ესე იგი, თხუთმეტი დოლარისა! ყოჩაღ,  
აქედან 6-7 დოლარი შენი იქნება!

— რატომ 6-7 დოლარი?! — შეეპასუხა ალიკა,  
— მამაზე მეტს მე ვემუშაობდი, ამიტომ მე ათი  
დოლარი მეკუთვინის!

მუშებმა სიცილი დასცხეს.

— ო, ზაზა, ყოჩაღი ბიჭი გეზრდება!

— ენახათ, — თავდაჭერილი კილოთი  
ჩაილაპარაკა ზაზამ.

„აი, ასე: თითისოდენა ყმაწვილი შრომობს,  
სწავლობს, ოჯახში მონაგარი შეაქვს, ეს ჩვენი  
მუტრუკები კი... ღმერთო, შენ გადმოხედე  
ყველას!“ — ესლა ჩაილაპარაკა მწერალმა  
გუნებაში და გაჩერებისაკენ მიმავალ  
თანამოსაქმეებს შეუერთდა.



# ბუჩქი

## გურამ ბაღოშვილი



— მთელი ქვეყნიერება, მთელი ეს ზეხმელი, ჩემო ძმისწულო, მართლა ფასდაუდებელი განძია, ნალოცი ზეითოა. — ადამიანი, ვინც გინდა იყოს, იმისი სიკეთე-სიძვირით სულდგმულობს, ცხოვრობს, ოღონდ ისიც უნდა გახსოვდეს, რომ, ასში ერთხელ, მაგრამ მაინც სადმე გიყვლებს! როგორ თუ რატომ? იმიტომ, რომ სოფელი, გინდ აიღე, გინდ დაიღე, გველს სიჭრელეში ბევრით აღარაფრით ჩამოუვარდება! განა ტყუილად უთქვამთ: სოფელი, შე შურივით ძველო და ჭორივით ახალოო! იცოდე, საქვეყნო საზრუნავს, საქვეყნო საქმეს თავიც რომ შეაკლა, საბოლოოდ მაღლიერი არავინ დაგრჩება. რას იზამ, ყველა ამვლელ-ჩამვლელს, ალია-მუსიას, თავის მოსაწონ სააღდგომო ნაზუქს თონეში ვერ ჩაუკრავ! კარგად მომიხმინე და ამ ძვირსა და შავს რატომაც ვამბობ, თავად მიმიხვდები!

— მას მერე ორი-სამი წელიც იქნება გასული, ერთ დილას ჩემი მაკა მალვიძებს და უცნაურ სიზმარს მიყვება:

— თეთრნაბადოსხმული თეთრ ცხენზე იჯექი, უბეში ორი თოვლივით უმტვერო თეთრი მტრედი გილულუნებდა, ერთი დიდი, მეორე — პატარა. უცებ ის პატარა უბიდან ამოგიფრინდა, იტყვი, რაღაცამ დააფორიაქაო... რაც ჩვენ იმას ვდიეთ, დაჭერა გვინდოდა, დავრჩით წყალგადაწურულებივით, — წაგვივიდა, ხელიდან გაგვიფრინდა! ვიყავით აეგრე უსასონი და გულაკენესებულები. ზედაც გამოძევიდა და პირჯვრის წერას მოყვები! ნეტავი ის მაინც მაცოდინა, რაზე ამიხდება!..

— ეს სიზმარი დღესხვალებით ორივეს მიგავიწყდა, კაცს საფიქრალ-საზრუნავს ღმერთი ხომ არ გამოუღვეს, სიზმრისათვის სად და როდის მოაცლის!

ერთ დღესაც ჩემს ცაცხვზე ავღვივარ, მინდა წვერაკაკანაში მოვექცე და მეუღლეს ცაცხვის ყვაილი დაუკერიფო, — გაგონილი მაქვს, ცაცხვის ერთი

ჭიქა ნაყენი კაცს წლის სიცოცხლეს მატებსო.

ყვაილი კალთაში გამოვიკრიფე და, ის არის, ჩამოსვლას ვაპირებ, რომ ამ დროს თვალი ჩვენი ლაღაურის მთისკენ გაბექცა. ვუყურებ და, სახნაურებს ვეტყვით, ტყისპირას, თეთრად ამოზურგული რაღაც შევნიშნე. მეუცნაურა. ნეტავ რა უნდა იყოს? თუ თეთრი ქვა არის, შარშან და შარშანწინაც ხომ იქ უნდა გდებულებო! თუ ნადირია, ასე უძრავად რა აჩერებს? ან წინ წავიღოდა, ან უკან! საფიქრალად და სათავმისაცემოდ, ღმერთმანი, ესლა მაკლდა!

ძირს, ეზოსკენ ვიყურები. ჩემი მაკა ლანდივით ირჩევა, თითისხელა მოჩანს.

— მაკა, მაკა! — ვემაზნი.

შენც არ მომიკვდე, ვერაფერი გავაგონე. კიდევ ჩამოვიქვეითე და ვუყვირი:

— შენი სიზმარი მიცხადდება, ქალო! მაკას, ეტყობა, ჩემი ხმა არ ესმის.

დგას შუბლზე ხელმოჩრდილული და მეორეთი მანიშნებს, ჩამოდით.

რა მეტი გზა მქონდა, ჩამოვედი, მაშინვე ოთახში შევევარი, ჩემს ღურბინდს დავაკლე ხელი და ცაცხვის ზროზე მიდგმულ კიბეზე ჯამბაზივით ავრბივარ.

— რა ამბავია, რა მოგელანდა, ქრისტიანო!

— გითხარი, შენი ამასწინანდელი სიზმარი მიცხადდება-მეთქი!..

მაკამ ვერაფერი გაიგო, მხრები უმწეოდ აიჩეჩა და ყრუდ ამოთქვა:

— შენ იცი შენი საქმისა!..

მე ზევით-ზევით მივიწიე. ერთი სული მაქვს, სახნაურების ტყისპირები ისევ მივხვერ-მოვხვერო! ეს ცაცხვის ზროც რომ აღარ თავდება! რა მადლმა ააცავა ეს დალოცვილი!

— აგე, ჩვენი სახნაურები, ჩვენი ლაღაურის წვერი! ის სითეთრე ისევ იქ დგას, უძრავად, უშფოთვრად, ოღონდ



ჩემმა ღურბინდმა მის გვერდით მეორე თეთრი ზურგიც გამარჩევინა. უბრალო თვალთ იმას, იმ პატარა ზურგს, ვერ ვამჩნევდი. მაშ, ორნი ყოფილან, ალბათ, დედა-შვილია, ორივე თეთრგვერდმანნი, თეთრი ბელებივით საყვარლები!.. არა, კაცო, — თავს ვუწყვებო, — თეთრ დათვისა და იმის თეთრ ბელებს ლაღურის წვერზე რომელი ანგელოზი მომიყვანდა?! კარგი, ვთქვათ, მოხდა სასწაული და მომიყვანა, ბელების პატრონ დათვის ყრუ ლოდვივით უძრავად შენ გააჩერებდი?

— ის ღამე როგორ, რა ყოფით გავათენე, აღარ მახსოვს! თენება რომ წამოვიდა, ცხენ-ურემს ვეცი. ჩემს ქვირას დიდი თავპატიყი არ გაუღვია, მხარზე ქამანდგადაკიდებული, წელში ცულგარჭობილი რომ დამინახა, მოვიდა თავფაფურის წყნარი ქნევით და ხელნებს შუა მორჩილად ჩაღვია.

მაკაც ამდგარა, უკან მომყვება, თან პირჯვარს მწერს, გზას მილოცავს:

— ღმერთო! — მეც პირჯვარს ვიწერ, — სოფელი ისე გამატარე, თარსსა და ავთვალს ნურავის შემახვედრებ... შავ გულს ნურავის გააყოლებინებ!

— სამი საათი არ შემისვენია, აღარც თავს ვინდობ, აღარც ცხენს. ერთი სული მაქვს, სახნაურებამდე როდის ავაღწევი...

საურმე გზაც მთავრდება. აქედან ქვირა ფენდაფენ უნდა მივიყოლო. ჩემს ბეულ, ნაცად ბერდენკას მხრიდან არ ვიმორებ: რა იცი, ამ ღურღულ ტყეში ნადირმა ცხენის სუნი არსაიდან იკრას!

ძველისძველი შურო თანდათან ვიწროვდება, ტყეში სინათლე მატულობს, მაშ, სახნაურების მიწებიც მალე დაჩნდება! ბუქობზე რომ გავვდი, ორი თეთრი, ბუთქუნა ზურგი კვლავ შევნიშნე, დიდი აქეთ დგას, ტყისპირში, პატარაც იქვეა, ორ-სამ წყრთაზე გამდგარა, ოღონდ დიდის ზურგს არის ამოფარებული, იტყვი, ეშინია და შორს წასვლა ვერ გაუბედავსო...

— ამდროულა კაცი ბალღივით ვლელავ. გული ისე მიცემს, იმის დაგადღებს, არავისი შხუილის ხმა რომ არა, სოფელში ჩემი მაკაც გაიგონებდა!

გავჩერდი და ვფიქრობ: ჯიქურ მისვლა არ ივარგებს! რა იცი, რა არის, დათვია, ლომია, აფთარია!.. ცხენი არამდამფრთხოს, თორემ საკუთარი თავი

არ მაფიქრებს, — მარტო ბერდენკა მყავდეს კარგად!..

რცხილის ჯაგ-ჯუგებს ხელით აქეთ-იქით ვეწვევი და უცებ... ღმერთო, შენ მიშველე! მწვანედ ახასხასებულ ველზე, ჯაგრცხილის ძირთან, ერთი უზარმაზარი ქამასოკო ამობრძანებულა, გვერდით თავისივე ალიკვალი, პატარა ქამა ამოუყენებია და ხალიჩასავით მოჩითულ ველობს მშვიდად, უზრუნველად დასცქერის!

— ღმერთო, — ვჩურჩულებ, — დაგელოცა სამართალი! რამოდენები დაზრდილან! როგორ არავინ შენიშნა, როგორ არავინ დაისაკუთრა, საჩემოდ რომელმაც სალოცავმა გახადა?..

ახლო, სულ ახლო მივედი. ჩემებია, იმათთან ყოფნა-სიახლოვეს ვინ ოხერი დამიშლის! ის დიდი, ღმერთმანი, ჩემზე ბევრად მაღალია! ახლა ღეროს არ იკითხავ? ჩემი ცაცხვის ზრო არა, მაგრამ ბევრით იმაზე ნაკლებიც აღარ არის! მართლა ერთი რამეა! რამ გაზარდა ეს დალოცვილი ამხელა, თან ასე ღამაზად თავმოკვერცხილი?!

— ვზივარ დედა სოკოს ქვეშ და ვფიქრობ: ამათი ასე უპატრონოდ დატოვება როგორ შეიძლება? ავღებები და ამ დედა-შვილს თავის ფესვ-მიწიანად ამოეთხრი და კარის ბოსტანში თეთრი გოგრების ჩაყოლებასზე, გადავრგავ, გავამრავლებ. მერე როგორი ამოხუშება იცის: ერთი მაღლიანი ცისნამი და მორჩა, ბოსტანში სოკოს ველარ გამოლე! მერე რამხელებია! თავი შემირცხვეს, თითო სოკომ ოჯახში კვირის საკმარი ხორცი თუ არ დაყაროს!..

ჯერ პატარა ქამასოკოს დავეჯაჯგურე. პატარა უმახე, — ძვრაც ვერ ვუყავი! შევისვენე და ისე მივუბრუნდი. მთელი ერთი საათი... რა საათი, მეტი, — მამბოლა, მავაგლახა და ბოლოს, როგორც იქნა, ფესვ-მიწიანად ამოვიღე. ამოვიღე და თეთრცხილის ბუქჩხე უვნებელ-უჭირველი მივაწვინე. ჯერ თურმე სადა ხარ! შუბლზე ხვითქის ღვარ-ღვარი მაშინ გენახა, დედა ქამასოკოს ამოსაღებად რომ შევები! ძალს მე, ძალს — ის, — ადგილიდან ფეხს ვერ ვაცვლევინებ! არადა, არც მინდა მოვჭრა, — ცულწალდა ქამარში მაქვს გაყრილი. — ვიუტად მომჩერებია, არც ავს ამბობს, არც კარგს!

— შენ, ჩემო ქამასოკო, გატყობ, პაპა ანანო კარგად არ გცნობია! შენ ხომ ხარ ჯიუტი და თავისწვერა, არც მე ვარ შენზე ნაკლები კერპი და ქვისნატუნა! ღმერთმანი, არ გეხუმრები! როდემდე გინდა, არავგი მახვნივინო? იცოდე, ჩემსას მაინც გავიტან! დალოცვილო, სანაშენოდ მინდიხარ, შესაჭმელად ხომ არა! მოდი, მომყევი, ნუ გეშინია, არაფერს გატყენ, არაფერს დაგიშავებ!..

— შეაყარე ტყეს ფოთოლი! დგას ისე ისე, ნირშეუცვლელად და წარბსაც არ იხრის!

— კარგი! — ვექაძნები, — ნებით თუ არ მხებდები, მაშინ ჩემს ქამანდს გაუმაგრდი, გნახავ, როდემდის გაიბოძიწკებ მაგ ფესვებს!..

დავაბზრიალე ქამანდი და ვტყორცნე, მაგრამ, შენ წარმოიდგინე, იმხელა გოდორა თავზე ყულფი ვერ გადავატარე. ვესროლე მეორედ, — არაფერი, რას ეძებ, რა დაგიკარგავს?! ვესროლე მესამედ და, როგორც იქნა, მოვდე! ყულფი ნელ-ნელა დავაყოლე და ზროზე შემოვასალტე!

— აჰა, ძმობილო! — ცაზე ვარ ასული, — ახლა სადღა წამიხვალ! თუ ჯობნახუა, ჯობნა იყოს!

გავდექი განზე, ფეხები წიფლის გადანატყერს მივაბჯინე და მთელი ძალით დავქაჩე. ისეა ქამანდი დაჭიმულ-დაძაგრული, ღამის ნაგლეჯებად ვაქციო. ქამასოკო კი დგას წინანდებური სიჯიუტით და თავის აგურისფრად დაზოლილ ჩაჩს ოღნავადაც არ ატოკებს.

— იცოდე, ძირში გადაგჭრი! როგორც ამ წუთში მე სიკვდილი არ მინდა, ისე — შენი მოჭრა, მაგრამ, რა ვქნა, იძულებულს მხდი!..

ცულწალდას რომ ვტაცე ხელი, ქვირამ სწორედ მაშინ შემომხვიხვინა. ანება ძოვას თავი და ჩვენსკენ წამოვიდა. მოვიდა, მოვიდა და ქამასოკოს წინ გაჩერდა... ღმერთო! დაგელოცა სამართალი, ჩემი ქვირა დახმარებას მთავახობს!.. ოღონდ არ მოვჭრა, ოღონდ შინ ფესვ-მიწიანად მივიტანო და უნდა, რომ შემეშველოს! მეც რაღას დავახანებ! ქამანდის ერთი წვერი კისერთან, ტორებს შუა, ამოუტარე და გულდაგულ ჩავნასკევი, მერე წინ დავუდექი და ნელ-ნელა, სულის



ბერვით გავაქაჩინე, თან ცალი თვალი ქამასოკოსკენ მიჭირავს. ვხედავ, უწადინოდ, ერთი გულისკვლით, მაგრამ მაინც მძიმე-მძიმედ აიძრა, თავი ოდნავ შეაქანა, თითქოს ფესვების ჭრილის ხმაც შემომესმა. ცხენი შევაჩერე და გვერდზე ისე დავედრიე, წამოქცეული ქამასოკო მინდორზე კი არა, თხილის ბარდებზე რომ მიწოლილიყო.

— ისე ავიხდა ყველა ნანატრი, როგორც მე ჩემი ჩანაფიქრი ამისრულდა! ქამასოკოს ირგვლივი ჯერ ამოიბურცა, ამოდულდა, მერე აქეთ-იქით ბელტებად გაიშალა და სოკოს სამი ქათქათა ფესვიც ამოჩნდა! მერე რამხელა დაკბილული ფესვი ჰქონია! კიდევ იმიტომ იყო, ვერაფერი შევახდინე, ძვრა ვერ ვუყავი!

— იცოცხლე, ჩემო ქვირავ! შენც გაგიმარჯოს და იმ შენს მაღალ ღმერთსაც, შენ რომ ეგ კაცური ჭკუა-გონება მოგცა!

ქამა დედა-შვილი საბოლოოდ ჩემად რომ დავიგულე, ქვირა ხევში ჩავიყვანე, დავარწყულე.

ვზივარ და ვფიქრობ:

— კეთილი და პატიოსანი, ჩემები არიან! ახლა რა ვქნა, სოფლამდე როგორ ჩავიტანო? პატარა ქამას არ ვჩივი, ამ გოლიათს რა მოეუხერხო? მეტი გზა არ არის, ფიჩხის ნალო უნდა შევკრა, ორივე თავბოლოთი ზედ დავაკრა და შუროზე ნელ-ნელა ჩავაცურო. საურმე გზამდე ჭირს, თორემ მერე მოგეცა ლხენა!

ნალო მალე გავამზადე. თხილის ბუჩქზე მიწოლილი ჩემი გოლიათი ფოთლიან ტოტებზე ისე გადმოვაწვინე, არც იმას გაუგია რამე, არც — მე!

...საურმე გზამდე მისვლა ვინ გაცაღა! ლამის მთელი სოფელი დახვეტილა და არაგვის გაღმა ნაპირთან გვიცდის. იმ ხალხში ხორნაულთ ელიბოს და მის სიძე-დისწულს თვალი რომ მოვკარი, გულმა მაშინვე ავი და შავი მითხრა, მაგრამ რაღას გავაწყობდი!

არაგვამდე მშვიდობით ვიარეთ, მაგრამ ქამასოკოებით დაძებნილი ცხენურები წყალში როგორც კი შევაგდე, მაშინვე მიეხვდი, ფონს ავცდენილიყავ! არადა, ელიბოს სიტყვას ვენდე! რა ვიცი, მთელი თავისი დღე და მოსწრება არაგვზე ავღია, სად რა ფერის ქვა ძეკს, იმას ვერაფერს გამოაპარებს და ამ

ფონის დასწავლა რა გაუხდა, რა ღმერთი შესწავლდა!

— უკან მიბრუნება უკვე გვიან იყო, შუა ღურღულში ვართ შესულები. ქვირას ლაგამი ვუტაცე, შევეხმიანე, არ შემიშინდე-მეთქი და წინ გავაწვინე. ვივრძენი, ურემი ფსკერს როგორ მოსწყდა, ამსუბუქდა, ატივტივდა და წყლის მდინარებამ ფოთოლივით თან გაიყოლა. ქვირა შემეცოდა. საწყალს ტალღებიდან თეთრად დაფეთებული თვალები და დაბერილი ნესტოებილა მოუჩანდა, დროზე თუ არ გამოვხსნიდი, დამეხრჩობოდა. იმ წამშივე ჩავყვინთე და თასმები შევაჭერი. ცხენმა შვება იგრძნო, კისერი წინ წამაგრა, გაიბრძოლა და წინა ფეხებით დაჩოქილმა, ტანი ნაპირზე, როგორც იქნა, აიტანა. ცხენს ეშველა, ახლა ურემს მიყვები ცურვაცურვით, ვერაფერს კი ვერ ვშველი. მალე ტალღებმა ურემი გადააყირავა და ისევ ფსკერისაკენ წაიღო, მარტო ხელნებილა ამოჩრილან ზემოთ. აღარც კოფოები მოჩანს, აღარც ჩემი ქამასოკები!..

...ნეტა ვინ დამწყევლა, ვინ დამთარსა?! ხომ ვითხარი, გველის სიჭრელე სოფლის სიჭრელესთან ვერ მოვა-მეთქი! ჩემი სიცოცხლე სოფლის სამსახურში გამითეთრებია, მეზობლების ბეგარა მიწყვეტია, ლუკმა უიმათოდ არ გამიტეხია... მაინც გამიმეტეს, გამთვალეს, შურს თავი შეუშვირეს!.. ახლა, როცა მეც და ჩემს ქამასოკებსაც გვიჭირს, წყალგაღმა ადი-ჩადიან, ხელებს იქნევენ, ვითომ შველა ეწადოთ! მაცდურები, თარსები, არაკაცები!..

... თავთხელთან გვერდზე აყირავებული ურემი გამოჩნდა. ნალოზე მარტო დედა ქამასოკოლა ჩანდა, პატარა სოკო, იმოდენა წყვეტა-დგრიალში, წყალს გაეტაცა, წაეღო... ვინ იცის, იმის ლამაზ, ნაფლეთებად ქცეულ ქულს, გაავებული ტალღები საით მიფანტ-მოფანტავდა!

...დედა ქამასოკო იმ დამეს დავასვენეთ, დავამშვიდეთ, ხელი არ დაგვიკარებია. მეორე დღეს კი, მზის ამოსვლამდე ორ-სამ მეზობელს შველა ვთხოვე (ხორნაულთ ელიბოსთვის უბრალოდ ხმაც არ გამიცია!). ჩვენი გოლიათი ქამასოკო ბოსტანში ხელის ურმით შევაგორეთ, მოზრდილ ორმოში ჩათათულ ფესვებს არაგვის ჭალიდან ამოტანილი სილა შემოვუყარეთ, არაგვისაკვე

წყალი ჩაუესხით და მერე ზროს ირგვლივი ნანინანად შემოვუბეკეთ. მას მერე ქამასოკოსათვის თვალი არ მოგვიშორებია, ხელი არ მოგვიკლია, მაგრამ ვაი, რომ სიკეთეს ვერ ირგებდა! კვირის თავზე ქამას ფერი შეუღონდა, კანიც დაებიძა, აღარც ის ლამაზად მოკვერცხილი ჩაჩი უბრწყინავდა ძველებური სალი სითეთრით...

ერთ დილას გასულა ჩემი მაკა ბოსტანში, სოკოს წინ მუხლი მოუყრია და, ღვთისმშობლის ეკლესიისაკენ პირმიქცეული, ლოცულობს:

— ღმერთო! ხომ მართლა ღმერთი ხარ და ცა-ქვეყნის მშველელი! გადაგვირჩინე ეს ჩვენი ქამასოკო! ნუ შეგვასწრებ იმის საცოდაობას!

მივედი ახლოს და... ვაი, შენს ანანოს! ქამასოკოს უილაჯო, განწირული კვნესა მესმის!.. საწყალი, ცრემლიანი ეთხოვება თავის გამჩენ სამხეოს! ჩამოვუჯექი გვერდით და ტყუილბრალოდ გალახული ყმაწვილივით ვტირი...

მესამე დღეს მოდის ჩემთან ჩემი მაკა და შვილმკვდარ დედასავით ხმამაღლა მოთქვამს:

— აღარა გვეყვს, ანანო, ჩვენი ქამასოკო! ჩაშლილა, ჩაფუშულა!..

ხმას როგორ დავძრავ! ვიცი, ერთი უბრალო სიტყვაც რომ ამოვიღო, გული ამომიჯდება, ცრემლად დავიცლები...

— უშვილოდ დარჩენა ვერ მოინელა, გულს შეასკდა, დარდს ველარ გაუძლო!

— რა ვიცი, — ძლივს ამოვილაპარაკე, — თითქო ხელს არ ვაკლებდით, თავზე დავბრუნავდით, ღვიძლი შვილივით ვუვლიდით...

— ცარიელმა ზრუნვა-მოვლამ რა ქნას, შვილის ადგილს ხომ მაინც ვერ დავიჭვრდით? ინაღვლა საცოდავმა და აკი ამ ნაღველს თან გაჰყვა!..

— ნეტავი ეს უბედური დედაც არაგვს წაეღო!.. ამდენ სადარდებელს ხომ აღარ გაგვიჩენდა!..

— ახლა შვილის ამბავი იკითხე! განა უდევოდ იმას კი ეცოცხლებოდა, განა ის ჭი რამეს იკეთილებდა? დედა-შვილი უერთმანეთოდ ისეა, როგორც ცა — უვარსკვლავებოდ, მთვარე — უმზეოდ! იმათი დაშორიშორება საცოდაობაზე მეტი საცოდაობაა!

— ღმერთმანი, მართლა ეგრე ყოფილა! უწინ ამაზე არც მიფიქრია!..



# შენ შეპყრობი ჯადოსნურ მნავრკალს...

ლამარა ბაბუა



შუაში - მერაბ ჩავლეიშვილი

გადის წლები და არ მავიწყდება ოდესღაც საფლავის ქვაზე ამოკითხული წარწერა: „ზღაპარი დასრულდა!“ ეს ორი სიტყვა და მეტი არაფერი.

ვინ განისვენებდა იმ ქვის ქვეშ, რა ალელვებდა, ვისთვის უცემდა გული, რას ეტროვდა,

რა გაიღო ქვეყნისათვის ან რა მიიღო მისგან?!

გადის წლები და მე კვლავ ვუბრუნდები ამ კითხვებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ყოფნა-არყოფნას ჩავუღრმავდები. თუმცა, პასუხი ამ კითხვაზე მე კი არა, თვით ამა ქვეყნის გენიოსებს ვერ გაუციათ...

და მაინც, რატომ „ზღაპარი“?

ალბათ, იმიტომ, რომ ყოველი ადამიანის ცხოვრება მართლაც ზღაპარია. ზოგჯერ ლამაზი, ზოგჯერ მკაცრი, ზოგჯერ გრძელი, ზოგჯერ კი უცერად რომ დასრულდება. მაგრამ არის ერთი რამ, რაც აზრს ანიჭებს ყოფნა-არყოფნის მარად ამოუცნობ საიდუმლოებას: რა გაიღო მან, მოკვდავმა, ქვეყნისათვის? თუნდაც ცოტა რამ, თუნდაც მხოლოდ მცირე, პირადი გამოცდილება, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და შემდგომ კაცობრიობის მონაპოვარი ხდება.

სასაფლაოს ქვაზე ამოკითხული წარწერა კვლავ გამახსენდა, როდესაც ერთი ტანმორჩილი, სადად გამოცემული წიგნი მომხვდა ხელთ და მის ყდაზე შავ არშიაში ჩასმული გვარი და სახელი ამოვიკითხე: მერაბ ჩავლეიშვილი.

მისი „ზღაპარი“ სულ 25 წლის ასაკში დასრულდა. დასრულდა, მაგრამ მას ქვეყნისათვის ცოტა რამ მაინც დაუტოვებია. მისი წიგნი არ არის ლიტერატურული ნაწარმოები. იგი მეცნიერული ნაშრომია და ასე ჰქვია: „მასალები აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციის ეკონომიკური ანალიზისათვის“. იგი დიდი სიყვარულით და რუდუნებით გამოუციათ მისი გარდაცვალების შემდეგ უფროს კოლეგებს - აგრარული უნივერსიტეტის დარგის სპეციალისტებს პროფესორებს ჰ. გიორგაძეს, გ. მირიანაშვილს, თ. ლაცყვიანს.

მერაბ ჩავლეიშვილის ბიოგრაფია მარტივია. იგი თბილისში დაიბადა 1980 წელს წარჩინებით დაამთავრა მე-15 საშუალო სკოლა და მამის - აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და ტექნოლოგიის კათედრის გამგის, პროფესორ ამირან ჩავლეიშვილის მსგავსად სოფლის მეურნეობა აირჩია სპეციალობად, ოღონდ ეკონომიკის განხრით. ინსტიტუტი წითელი დიპლომით დაამთავრა და უფროს ეკონომისტად დაიწყო მუშაობა ოზურგეთის ჩაის კონცენტრატების კომბინატში. ორი წელი დაჰყო ამ სამუშაოზე და ახალგაზრდა კაცმა დიდი სიყვარული და ავტორიტეტი დაიმსახურა. 1987 წელს მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის ასპირანტურაში ჩაირიცხა და სადისერტაციო თემაზე მუშაობას სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მუშაობას უთავსებდა. სწორედ აქ, 1989 წელს უცერად დასრულდა „ზღაპარი“ და მას გაგრძელება არ ექნებოდა, რომ არა მერაბის მეცნიერული დაკვირვებები, დასკვნები, ჩანაწერები... სწორედ ისინი დაედო

საფუძვლად შრომას, რომელიც მიზნად ისახავს მომავლის პერსპექტივას მუშაობს. ერთი შეხედვით სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინტეგრაცია აღარაა აქტუალური დღევანდელი საქართველოსათვის, სადაც მთლიანად მოშლილია სასოფლო-სამეურნეო წარმოება. იგი განსაკუთრებით აქტუალური იყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აზროვნებისათვის 80-იან წლებში, მაგრამ მომავალში, როცა დამოუკიდებელი საქართველო მოიშუშებს იარებს და ეკონომიკურად გაიმართება წელში, მის წინაშე კვლავ დადგება ამ პრობლემის გადაწყვეტის რეალური გზების ძიება. ეს გარდაუვალია, რადგან საქართველო ისტორიულად აგრარული ქვეყანაა და, როდენ დიდ წარმატებასაც უნდა მიაღწიოს მისმა მრეწველობამ, სოფლის მეურნეობა არ დაკარგავს თავის პრიორიტეტებს. ხოლო აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაცია, რომელიც ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, მუდამ მწვავედ დადგება მის წინაშე. სწორედ ამ პრობლემის რაციონალურმა გადაწყვეტამ უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების აგრარული სექტორის განვითარების მაღალი ტემპების მოპოვებაში.

ახალგაზრდა მეცნიერის მზერა შორს, მომავლისაკენ იყო მიპყრობილი და მისი მეცნიერული მემკვიდრეობა დახმარებას გაუწევს აგრარულ-სამრეწველო ინტეგრაციით დაინტერესებულ სპეციალისტებს. ეს პრობლემა რომ აქტუალურია დღესაც თვალნათლივ ჩანს - კახელ მევენახეებს ყურძენი ტრადიციისამებრ მოჰყავთ, მაგრამ უჭირთ მისი წარმოებისათვის ჩაბარება და გადამამუშავება, შესაბამისად, თავიანთი გაწეული შრომის საფასურის ანაზღაურების მიღება.

მერაბ ჩავლეიშვილმა თეორიულად და მეთოდოლოგიურად დაასაბუთა სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინტეგრაციის საკითხები, დატოვა... მემკენარეობის პროდუქტების შენახვისა და გადამამუშავების კომპლექსის მოწყობის სქემა. რა დასაძანია, რომ პირადად ვერ შეძლო მონაწილეობა მიედო ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღორძინებაში, რომელიც გარდაუვალია, თუმცა, მისი მოსაზრებები წაადგებათ მათ, ვინც ამას გააკეთებს...

მერაბ ჩავლეიშვილი ათ წელზე მეტია, აღარ არის ჩვენს შორის. მისი უდროოდ წასვლა ამქვეყნიდან ვერ გადაიტანა დედამ, შესანიშნავმა ქართველმა ქალბატონმა, კარგი ყმის აღმზრდელმა, დაამწუხრა ოჯახი, მეგობრები. მაგრამ სანუგეშოდ დარჩა ის, რაც მერაბმა გაიღო ქვეყნისათვის, ის შეუპოვარი შრომით და გარჯით გაცისკროვნებული სიცოცხლე, რომელმაც მეტეორივით გაიბრწყინა და დღესაც არ ჩამქრალა.

„მისი სახელი და გვარი ასპირანტთა სიდიდან დროებით ამოღებულად ითვლება და ასე დარჩება, რათა სიმბოლურად კვლავ ჩვენს შორის გვეგულეობდეს“. - სწერენ წიგნის რედაქტორები წინასიტყვაობაში და ახალგაზრდა მეცნიერისადმი მიძღვნილი ლექსი მოჰყავთ: „ჩვენ სულ გაგისხნებთ... მოგინატრებთ, რადგან ჩამოწვა მარადი ბინდი, შენ შეპყრობი ჯადოსნურ მწვერვალს და უფსკრულებში ჩაგემსხვრა ხედი“...

მე ისევ „ზღაპარი დასრულდა“ მაგონდება... იგი უნებლიედ მაფიქრებინებს, როგორ გამოადგებოდა დღეს საქართველოს ამ ლამაზი, ნიჭიერი ჭაბუკის აზრები, საქმეები, მომავლისაკენ მიპყრობილი მზერა, მისი შთამომავლობა...

21760

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა





...ნელა აიწია ფარდა და სცენაზე თითქოს ერთბაშად დაიღვარა შუქის ჩქერალი.

ნარნარმა, სახემწყაზარმა ფერიებმა შემოიტანეს ეს უჩვეულო სინათლე. შაფროზიანი, ჩაუქი ბიჭები — ავაზასავით მოქნილი და სხარტნი, ცერებზე შემდგარნი გარშემო უვლიდნენ ამ ტანწერწეტა, თეთრსამოსიან ასულებს.

თითქოს ზეცის თალიდან ნელი რხევით დაემუნენ ძირს, დედამიწაზე მზის ქალწულნი, თეთრი, სპეტაკი სამოსი რომ ეცვათ ტანზე, თავზე კი ნიავეით მსუბუქი ლეჩაქები ეხურათ.

დაგოგმანებენ მზის ასულები კდემამოსილი ღიმილით და ამაოდ ცდილობენ დაუსხლტნენ შაფროზიანი ვაჟკაცების გაშლილ მკლავებს.

და მოუჩვენა, რომ სცენაზე ველის ნაზი და ჰაეროვანი ყვავილები დაფარულებენ, ცისფერნაბდანი მთებს კი ფეხი აუდგამთ და ფერხულს უვლიან გარშემო, როგვან ცისფერნაბდიანი, ზვიადი მთები და გუგუნებენ „პოიდა ნანას“...

ეს იყო სულის ზეადმტაცი სწრაფვა მზისკენ, სინათლისკენ... ეს იყო მისი სამშობლოს ფერთა დღესასწაული, მისი თვალწარმტაცი ველ-მინდვრების ყვავილთა ზეიმი.

... და ველის სიღრმიდან დაიძრა ის რაღაც, დედის ზღვივით თბილი და სათუთი, დაიძრა ჯერ პატარა ტალღებდ ისევე, როგორც ეს ჩვეოდა ბალობისას, როცა უსმენდა ზღაპარს ოქროსთმიან ასულსა და მზეჭაბუკზე — თავისი ძრავალტანჯული ხალხის ხატებად რომ ესახებოდა...

ტალღა თანდათან იზრდებოდა, იქოჩრებოდა. ლამის წაელეკა მთელი სხეული.

გოგნებულმა უნებლიეთ თვალი მოავლო განაბულ, გაყურებულ დარბაზს. თითქოს მაყურებელთა თვალებიდა ანათებდნენ ჩანჩქლებულ სივრცეს. სახეზე კი — რაღაცნაირი სასოება და მოკრძალება ეხატათ.

ნუთუ შეიძლება არსებობდეს ამგვარი სილამაზე? ნუთუ შეიძლება რეალურად, ცხოვრებაში არსებობდნენ ასეთი წარმტაცი ასულები და ვაჟები? რეალურად ცხოვრობდეს ხალხი, ვინც ქმნის და ასაზრდოებს ამ დვთაებრივ მშვენიერებას? — კითხულობდნენ გაფართოებული თვალები უსიტყვოდ, უხმოდ.

თავად ხომ იცის, რომ მთელი არსებით, სისხლის ყოველი უჯრედით ეკუთვნის ამ ჯილაგს, ამ რასას, იმათ, ვინც გასაოცარი როკით

ქმნის სიმფონიას სულისშემტაცი სილამაზისა, სისხლი სისხლთავანი და ხორცი ხორცთავანია იმათი, ვის თვალბეჭდვით ჩამდგარა ზვიადი სიამაყე და ქედუხრელობა მაღალი მთებისა, მამულს ბასტიონებად რომ შემორტყმია.

უკანასკნელი აკორდი. ერთმანეთში გადაჭლიბილი მკლავები. შხვართი ფეხების უკანასკნელი გასმა.

აყალყებულ სისხლის ტალღამ ერთბაშად გადაიქცა ყოველგვარი ჯებირი და... გაღურსულ დარბაზში გაისმა: — გაუმარჯოს საქართველოს!

ეს თითქოს ნიშანი იყო. მთელი დარბაზი ფეხზე დადგა. ტამისცემისაგან ზანზარება ჭერი. გვერდით მჯდომ ხანშიშესულ მამაკაცს მივარდა იბრაიმი, გადაეხვია, გადაკოცნა... და გზა იპოვა აქამდე შეგუბებულმა ცრემლის ნაკადმა...

ეს ფრაგმენტი მოვიტანე 1978 წ. ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ჩემი ნარკვევიდან: „ყვირილი გემართებს დღისით, მზისით“, იგი ეძღვნებოდა იმ ხანად თურქეთიდან ახლად ჩამოსულ ჩვენს თანამემამულეს ბონ იბრაიმ გორაძეს, რომელზეც წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია თურქე სტამბოლში პირველად ნანახ ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის წარმოდგენას!

ანსამბლის ამ გასაოცარი ზემოქმედების უნარზე ბევრი დაწერილა და თქმულა და მაინც ყოველი მისი კონცერტი, ყოველი გამოსვლა თითქოს ხელახალი აღმოჩენაა, ენითუთქმელ აღტკინებას რომ იწვევს ადამიანში.

ჩემს სიყვარულსა და თაყვანისცემას ამ ბრწყინვალე ანსამბლისადმი ზანგრძლივი ისტორია აქვს. იგი ფეხებს ჩემს ბავშვობაში იღებს, როდესაც პირველად გაღის კულტურის სახლის პატარა სცენაზე ვინილე მათი წარმოდგენა. წლებმა ამ გრძნობას ვერაფერი დააკლო, მომატებით კი ბევრი მოუმატა. ანსამბლის ყოველი კონცერტის შემდეგ სულ ახალ-ახალ წახნაგებს და ნიუნსებს ვპოულობდი მასში. ნახვით კი ხშირად ენახულობდი: სოხუმში იქნებოდა ეს, ბათუმში, თბილისში, ქობულეთში, თუ სხვაგან.

სიტყვა კონცერტი თითქოს არ მიესადაგება ამ ანსამბლის მიერ გამართულ წარმოდგენას. როგორც სამართლიანად შეუნიშნავთ უცხოელ ჟურნალისტებს — ანსამბლი დგამს სანახაობას, ანუ ფოლკლორზე აგებულ და უმაღლეს რანგში აყვანილ ხალხური ცეკვების მეშვეობით ჰყვება ერის თავგადასავალს, რომელიც, სამწუხაროდ, მეტწილად გაუთავებელი, სისხლისმღვრელი ომიანობით არის დაღდასმული. აქედანაა ამდენი ხმლების და სატყვეების ტრიალი, ამდენი მეომრული ცეკვა! ჯერ კიდევ ისტორიის მამას ჰეროდოტეს შეუნიშნავს, ჩვენი შორეული წინაპრები ბრძოლის წინ მხედრულ როკვას რომ იწყებდნენ თურმე.

თვალწარმტაცი „ფარცხას“ და „ქართულის“ შემდეგ ანაზღვეულად შემოჭრილი ბრძოლის რიტმი საფრთხის მაუწყებლად აღიქმება და ტანში ჟრუნტელად უვლის მაყურებელს.

ტამ, ტამ, ტამ, ტამ, ტამ, ტამ! — გაისმის „ხორუმის“ მომწოდებლური, ომახიანი რიტმი



და ავის მომასწავებელი შეძახილები მხედარ-თა არღვევს იდილიურ სიმშვიდეს. ჩაქურებში ჩაქმული, ტანასვეტილი მეომრების შემოსვლა სცენაზე და სისხლის ამჩქროლებელი რიტმის ხმაზე შეწყობილი ფენების მოძრაობა უკვე თავისთავად იწვევს საბრძოლო განწყობილებას: მოქნილი, სხარტი მწვერავეების მსუბუქ ნახტომები კი უნებურადვე აღძრავენ მძაფრ განცდას: სამშობლო განსაცდელშია!

„ფრთხილად, საქართველოს გარემოში უვლიან,

არაფინ მოგვტაცოს აჭარა და გურია“...

არა, საქართველოს მარტოოდენ ცალკეული კუთხეების საფრთხის ასოციაციას როდი იწვევს ეს ცეკვა, მარტოდენ ცალკეული კუთხეების ყოფნა-არყოფნის საკითხი როდი დგება. თუმცა „ხორუმი“ — ლაზური, გურული და აჭარული სათვის დამახასიათებელ თავისებურ პლასტიკასა და რიტმზეა აგებული: აქ ზღვის ლივლივითაა, რბილი, თითქოს ტალღოვანი მოძრაობებიცაა, ცქციტი, სხარტი ტანის მიმოხრაცაა, იგი ხუჭუჭა გორაკების და მწვენი დაბლობების, უსაზღვრო ცისა და ზღვის ანარეკლია — მხოლოდ დავსვლეთ საქართველოს ბუნებისთვის რომაა დამახასიათებელი, მაგრამ „ხორუმი“ ამავედროულად ერთიანი, მთლიანი საქართველოს სიმბოლურ როკვად აღიქმება. პოეტის თქმითვე — „ხორუმი“ სიმფონიაა საქართველოს სიფხიზლის!

თითქოს სრულიად განსხვავებულია „ხორუმისაგან“ — „ხევსურული“, „მთიულური“ — განსხვავებული არა მხოლოდ ტემპით, მოძრაობით, მიხრა-მოხრით — სამოსითაც. ეს თავბრუსდამხვევი ტრიოლები, ცერელები, ფარ-ხმალის ჩახაჩუხი — თითქოს შეჯიბრია სიჩაუქეში, სიმარდში, გამძლეობაში, ამტანობაში, რაინდობაში და მაინც... ამ თითქოსდა სრულიად სხვაგვარ ცეკვებში ერთია არსი და სული — ზუსტად ისევე, როგორც ეს ჩვენს სიმღერებშია — ეხოლდენ ერთმანეთის საპირისპიროსა და ესოდენ მსგავსებში. ესაა ათასწლეულებში გამოტარებული კოლხ-იბერთა სულის ყვირილი, ძვერაგულია — შეურყენელი, უბერებელი, მარადიული — სამერმისოდ გადარჩენისათვის მოწოდებული. ამ გრძობას ბაღებს „სამაიაც“ — თითქოს ტაძრის კედლებიდან გადმოსული ფრესკები, თამარ დედოფლის სამოსით რომ დამშვენებულიან.

ეს საოცარი სპექტაკლი-სანახაობა — როგორც არა ერთხელ თქვია, კონტრასტებზეა აგებული. შმაგია, თავბრუსდამხვევი „შეჯიბრის“ შემდეგ სრულიად საპირისპირო ცეკვა: ნარნარი, ნატიფი „სამაია“.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ „განდაგანაში“ გოგონების შემოსვლას სცენაზე ტანის გრი-ალით არ შეხედეს მაყურებელი და ეს ტანში უწინარესად ტანსაცმლის ბრწყინვალეობითაა გამოწვეული.

თუ არა მსატარ სოლიო ვირსალაძეს, მაშ, ვის უნდა სცოდნოდა ჩვენი ფრესკების ფერთა იგამოწვევადილი გამა. ეს კეთილშობილური პარმონია თავისთავად ცალკე პოემის ღირსია და აკი ასევე აღიქმება იგი უცხოელთა მიერ, რომელთა განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს ანსამბლის ზღაპრული ჩაცმულობა, ფერების

# ძიგლი არს მეტყუელი... საუკუნოდ!

ეს გასაოცარი შეხამება, ჩვენს ხალხურ ტრადიციებში რომ მკვიდრობს უხსოვარი დროიდან. რად ღირს მარტო ხევსურული ტალავარი, ასე რომ ამშვენებს ჩვენს გოგობიჭებს. მოგწონს თუ არა, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენი ეროვნული ბუნება ვერ ჰკუთნებს მყვირალა, ჭყვიტელა ფერებს...

...მქონდა ბედნიერება დავსწერებოდი ამ სახელგანთქმული ანსამბლის და მისი აწ უკვე ლეგენდად ქცეული ქონ ნინოს რეპეტიციას.

აქამდე ყოველთვის დარბაზიდან მიწვევდა მეცქირა მათთვის. ახლა კი ძალიან ახლოდანი, კულსებიდან ვუყურებდი და ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ როგორც დარბაზში, ისე აქაც, სუნთქვაშეკრული, დაძაბული მიგჩერებოდი მოცეკვავეებს და მათ ვადოქარ ხელმძღვანელს, რომლის მიმართ ბავშვური მოკრძალება, თაყვანისცემა და რიდი აქამდე არ გამწელებია.

ჩემს წინ მიმოდოდნენ მსახიობები და უნებურად ვაკვირდებოდი მათ ყოველ მოძრაობას. ისეთივე ლამაზები არიან თუ არა, როგორებიც ჩანან დარბაზიდან-მეთქი. მართლაც ლამაზი გოგონები და ვაჟები (ანსამბლის ხელმძღვანელები და, რასაკვირველია, თავად ქნი ნინო უთუოდ ამ მხარესაც არანაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ეს ბუნებრივია: გარეგნულადაც მშვენიერი უნდა იყვნენ ამ ცეკვების შემსრულებლები. ამ მხრივაც სანიშნუა ანსამბლი, მაგრამ ქართულ კაბებსა და ჩონა-ახალუხში გამოწყობილი მაინც შეუდარებლად უფრო მომხიბლველად გამოიყურებიან სცენიდან).

...აი, ქალბატონი ნინოც — ეს ტანმორჩილი მანდილოსანი, თავის დაჭერით, მანერით, გვირგვინისად ღელფაღას რომ ავონებს ადამიანს. (ჩემს ბავშვურ წარმოსახვაში იგი ანტიკური ხანის ქურუმ-ქალად მესახებოდა ხოლმე).

მიმდინარეობს რეპეტიცია. წარმოუდგენლად მეჩვენება, რომ ამ სრულყოფილი ანსამბლის მოცეკვავეებს შეიძლება ადენი შენიშვნა მისცე! არადა ქალბატონი ნინო წამდაუწუმ აჩერებს მათ და... მეუე ისმის მისი ცნობილი მოკლე ფრაზა — დოლი!

და ისევ თავიდან იწყება. იხვეწება ყოველი მოძრაობა, ყოველი ჟესტი, თავიდან, ისევ და ისევ თავიდან... და ვინ იცის, მერამდენად გრძელდება ასე. მე ხომ მხოლოდ რეპეტიციის ფრაგმენტებს შევესწარი. აი, თურმე როგორი და რამდენი შრომით და მოთმინებით მიიღწევა ეს სრულყოფილება!

მოხიბლული, მოვადოებული თვალს არ ვაშორებ ქალბატონ ნინოს: რა ტიტანურ ძალებს ფლობს, რა უშრეტო ენერგია ამოძრავებს ამ დაუძვრალ სულს? რა ჰკვებავს ამ ასაკო-

ვანი ქალის ესოდენ შემართებას წლების განმავლობაში? პასუხი ჩემთვის ერთია: ამ მაგიურ ძალას ეროვნული ხელოვნების შემთავონებული სიყვარული ჰქვია. დიას, მხოლოდ სიყვარულს ძალუმს სასწაულის მოხდენა და ეს სასწაული გახლავთ ქნი ნინოს და ბნი ილიკოს სულიერი პირში — ქართული ხალხური ცეკვის აკადემიური ანსამბლი.

„ქართული ცეკვები კოსმიური ცეკვებია, — ამბობს გერმანელი მისანი ქალი ლინა ლიზი, — ისინი კოსმიური ენერგიით სრულდებიან. ცეკვის სისწრაფე, არაჩვეულებრივი მოძრაობები, ამ ადამიანებმა მიიღეს, როგორც თავისი სისხლის მეტყველება. კიდევ რა დავინახე ამ ცეკვებში? ის, რომ კავკასია არამარტო უძველესი მთებია, წმინდა მხარეცაა და იქ მრავალი მისანი ცხოვრობს. მათი დედოფალიც, თამარი, იყო არამარტო დიდი მისანი და მკურნალი, არამედ უდიდესი კოსმიური სიყვარულისა და სიბრძნის მატარებელი.

კავკასიელები ამბობენ და ჩემი აზრიცაა, რომ კავკასია არავის ეკუთვნის და არც შეიძლება ის გარდა ზეცისა და კოსმოსისა, ვინმეს კუთვნილება იყოს“.

...და აი, სამწუხარო ცნობა — აღარ არის ჩვენს შორის ქალბატონი ნინო. მცირედნი არიან რჩეულნი, ნათქვამია. დიას, ქალბატონი ნინო რჩეული გახლდათ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბრწყინვალე მოცეკვავე იყო, არც იმიტომ, რომ მართლაც უნიკალური აკადემიური ცეკვის ანსამბლის შემქმნელია ბატონ ილიკო სუხიშვილთან ერთად. ვეღაფერი ეს, რასაკვირველია, თავისთავად მნიშვნელოვანი დავწლია ქართული ხელოვნების წინაშე, მაგრამ ამასთან იგი ქართველი ქალის განსაცვიფრებელი გონიერების, ფერომენტალური ნიჭიერების, მომხიბლველობის, დარბაისლობის, პატიოსნების, სულიერი სიმტკიცის განსახიერება გახლდათ, პიროვნება, რომელსაც თავისი კრედო, თავისი კონცეფცია გააჩნდა ქართული ცეკვების რაობაზე — უძველეს ტრადიციებში, ქართულ მითოლოგიაში რომ იღებს სათავეს და ნასაზრდოებია ათასწლეულებში გამოვილილი ერის სულიერი მრწამსით — და რომელსაც გენიოსის შემთავონებით ხორცს ასხამდა ხოლმე — ვრ. რობაქიძის ხატოვნად და ზუსტად ჩამოსახული ფორმულა — „როკვით განფენილი ქართული გენი“ — სწორედ, რომ ამ ერთიანი კონცეფციის დედააზრის გამოხმატევილია.

ამ ქვეყნიდან წავიდა დიდი ჭირისუფალი ქართული ხელოვნებისა. ასეთი ერისშვილები მართლაც საუკუნეში ერთხელ იბადებიან, დედობად ევლინიებიან შეჭირვებულ ერს და აფხიზლებენ, მოუწოდებენ... საკუთარი ძალიანადი რწმენას უწერგავენ. აღანთებენ და აღამაღლებენ სულიერად, თავად კი წინ მიუძღვებიან ანთებული კელაბტარიით.

„სივრძე ყამთია ყოველსავე დავიწყებად მოიღებს... მშრომელნი მტუერ და ნაცარ ვიქმნებით, ხოლო ნაშრომი ჰკიეს უკუნისამდე“.

ქალბატონ ნინოს ნაღვაწი და ნაშრომი მართლაც რომ ჩვენი ძველი მწერლის თქმით: „ძიგლი არს მეტყუელი... საუკუნოდ!.. და... ჰკიეს უკუნისამდე!“





## ქურნალისტი მონაზრება

დამთავრდა ოთხწლიულის კიდევ ერთი შეჯიბრება. ასეთი გამოთქმაა — ოლიმპიადა დამთავრდა, ოლიმპიადა იწყება. ჭეშმარიტად, ოლიმპიური თამაშები მხოლოდ ნახევართვიანი სტარტები არ არის, ამ ნახევარი თვისთვის მთელი ოთხი წელიწადი უნდა ემზადო. და ეს მზადება აქედანვე, დღეიდანვე უნდა დაიწყო. სიღნეიმ ესტაფეტა ოლიმპიზმის სამშობლოს — ათენს ვადასცა და ახლა ყველა სპორტსმენის მზერა საბ-

**ქურანი ვახტანგი**  
კრძალვებისა და ჭეშმარიტად  
22 იანვარი, 1973, ბათუმი  
სიმაღლე 187 სმ, წონა 85 კგ  
ილი: ფეხბურთელი  
სპორტული და ოლიმპიური  
MUKHRAN VAKHTANGIDZE  
Greco-Roman  
22 Jun. 1973, Batumi  
H: 187, W: 85.  
OG - Debut  
Married, two children.



ერძნეთისკენაა მიპყრობილი.

ჩვენი სპორტის მესვეურები დღესვე უნდა შეიკრიბონ და ათენის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების ოთხწლიანი ციკლი შეიმუშაონ, თუ არ გვიწყენენ, რამდენიმე რჩევას მივცემთ მათ. რეალური პროექტი უნდა შეიქმნას, ყველა ნიუანსია გასათვალისწინებელი, გრომ-გრომ არის ფული დასათვლელი.

თავდაპირველად პრიორიტეტებია განსასაზღვრი. არ შეიძლება ჩვენისთანა მცირერიცხოვანი, ტერიტორიით ერთი ბეწო და ეკონომიკურად ჩიხში მომწყვდეული ქვეყანა ყველაფერს მიედ-მოედოს. რამდენიმე სახეობა უნდა აირჩეს და მათზე გაკეთდეს მთავარი აქცენტი. ხომ ვხედავთ, სროლა აღარ არის, „ჩვენი“ სპორტი, მითუმეტეს, არც მძლეონობა და საწყალოსნო სახეობები. მათკენ აღარც ღირს გახედვა. არა, იმას როდი ვამბობ ამ სახეობებში ხელი არ გავანძრიოთ-მეთქი. ღმერთით, თუ ვინმე ნიჭიერი გამოჩნდა, ამას რა სჯობს, ავიყვანოთ აღრიცხვაზე, ერთი-ორი შეკრება ჩაუტაროთ, ერთ-ორ ტურნირზე გავაგზავნოთ და, თუ თავს გამოიჩინეს, რაღაა სალაპარაკო. მაგრამ ეს უფრო ფანტაზიის სფეროა.

სასულეტიკო მუშაობას დიდი დრო არ უნდა დაეთმოს. ჯერ ერთი, ეს შეუქცევადი პროცესია, მაგრამ პირველი ეტაპისათვის, დასაწყისისათვის მწვრთნელებმა სოფელ-სოფელ რომ იარონ, ოთხი-ხუთი თვე სრულიად საკმარისია იქნება. ახ-

ლი გუნდები უნდა ჩამოყალიბდეს, სულ ახალბედებით დაკომპლექტებული, თუმცა, რა თქმა უნდა, ერთ-ორ „ვეტერანსაც“ აიტანს ეს გუნდები. ათ კაცზე მეტი არ უნდა იყოს თითოში. ამ ათკაციან ჯგუფებს ყურადღება არ უნდა მოაკლდეს — არც შეკრებები, არც შეჯიბრებები, არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არც ფული და არც სასმელ-საჭმელი. ორი წლის თავაუღებელი შრომის შემდეგ მწვრთნელებს უკვე ექნებათ არჩევანის საშუალება — ათი სპორტსმენიდან სამი-ოთხი შეირჩევა და ის იქნება ძირითადი ბირთვი. ახლა უკვე განსაკუთრებული ყურადღება ამ სამ-ოთხკაციან გუნდებს უნდა მივაპყროთ. ბოლო ორი წელი მათ ვუბეროთ სული, ცივი ნიავი არ მივაკაროთ.

როცა ასე დაიწურება გუნდები, უკვე თვითმიზნად აღარ გვექცევა ყველა სახეობაში ათ-ათი ლიცენზიის მოპოვება. ის სამ-ოთხკაციანი ჯგუფები ივლიან სალიცენზიო ტურნირებზეც და სხვა შეჯიბრებებზეც. მაგრამ მთავარი ყურადღება, რა თქმა უნდა, ოლიმპიადისწინა წელს გასამართ მსოფლიო ჩემპიონატებს უნდა მიექცეს. ჭიდაობაში, მაგალითად, ეს მსოფლიო ჩემპიონატები რვა-რვა საგზურს ანაწილებს. ჰოდა, თუ ვაჟკაცები ვართ, აქ ვივარგოთ, აქ მოვიპოვოთ ლიცენზიები, გავიდეთ რვა საუკეთესოში და თავი ქუდში გვექნება. აბა, ევროპის პრიზიორობა და რომელიმე სალიცენ-



**გიორგი ასანიძე**  
ძლიანობა  
1975, საჩხერე  
სიმაღლე 175 სმ, წონა 77 კგ  
ილი: ფეხბურთელი  
ქ. 1 (2000)  
სპორტული და ოლიმპიური  
GIORGI ASANIDZE  
Weightlifting  
1975, Sachkhere  
H: 175, W: 77.  
OG - Debut.  
EC - I (2000)  
Married, one daughter.

ზიო ტურნირში მიღწეული წარმატებით ოლიმპიადაზე ვინ გასულა ფონს. ამ შეჯიბრებებში საპრიზო ადგილებზე გასვლას დიდი ჯაფა არ სჭირდება. მსოფლიო ჩემპიონატში წარჩინებული სპორტსმენი კი უკვე დიდი ძალაა და მას ოლიმპიური მედლის მოპოვების დიდი შანსიც ეძლევა.

გუნდების ჩამოყალიბების დღეიდანვე უნდა მივაპყროთ მათ ფსიქოლოგები.



**ელდარ ხოჩავა**  
ოკეპულე კიდობა  
16 აპრილი, 1972, სოხუმი  
სიმაღლე 170 სმ, წონა 97 კგ  
ილი: III (1996)  
ქ. II (1993), VII (1995), III (1997)  
ქ. I (1995), ახ. II (1993, 1995), I (1996-1997), III (1999)  
სპორტული და ოლიმპიური  
ELDAR KHOCHAVA  
Freestyle  
16 Apr. 1972, Sokhumi  
H: 170, W: 97.  
OG - 1996 (III), WC - 1993 (III), 1995 (III), 1997 (III)  
EC - 1995 (Youth), 1993, 1995 (II), 1996-1999 (I), 1999 (III)  
Married, three children.

ეს არ არის ხელწამოსაკრავი საქმე. მთელი მსოფლიო ლამის კომპიუტერებით ემზადება და ჩვენ ფსიქოლოგის სამსახურს უარყოფთ?!

და, რაც მთავარია, მხოლოდ „ჩოთქის“ ჩამოყრა და ართიმეტიკა არაფერს გვიშველის — ყველა, დიდიან-პატარა, შარაზე უნდა გავიდეს და რაღაც გზებით, ნებისმიერი ხერხით მოიპოვოს ფული. სახელმწიფოს რომ ამის შესაძლებლობა არა აქვს, ხომ დაერწმუნდით! ჩვენი ბიზნესმენების უმრავლესობას რომ მხოლოდ საკუთარი ჯიბე ადარდებს, ამაშიც მეთანხმებით. ამიტომ მათ ვერ დავეყრდნობით. ესე იგი, სხვა გზები და საშუალებები გამოსანახი. მაგრამ ეს დაუსრულებელი პროცესი ვერ იქნება. უკვე იანვარ-თებერვლისთვის უნდა გაჩნდეს 2001 წლის ფული, ექვსი თვის სამყოფი მაინც — აღსადგენია გაპარტახებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საშოვნია იარაღ-ინვენტარი; მოსაწესრიგებელია გათბობის სისტემა და მოსაგვარებელია ცხელი წყლის პრობლემა. ათასი შეკრება-შეჯიბრება დასაფინანსებელი, სპორტსმენი მშვიდი არ უნდა იყოს და ვარჯიშის დროს მშვიდ ცოლ-შვილზე და დედამაზე არ უნდა ფიქრობდეს... კაბინეტში ჯდომა და ფეხის ფეხზე გადადება საქმეს არ უშველის, ჰალსტუხებით კი არ უნდა ვიაროთ, მუშა ტანსაცმელი ჩავიცვათ და ხელი გავანძრიოთ. რაც მოსაპარი და წასაგლეჯი იყო, მოპარულ-წაგლეჯილია, რაც საყიდელ-ასაშენებელი იყო, ნაყიდი და აშენებულია. ვინ არის გამკითხავი. ამიტომ, კეთილი ვინებოთ, იმ ჩვენი შავ-შავი ბიზნესიდან ცოტაოდენი თანხა ჩვენს ლეიფ საქმესაც მოვახმაროთ, რაც გვაპარია, რაც ჩავაპარეს. თუ არადა, დღესვე დავიხსროთ ქუდი და წავიდეთ. მერწმუნეთ, თქვენზე უარესი ხალხი არ ჩაუდგება სპორტს სათავეში.

მკაცრი ტონია? ვნახოთ. სიღნეის ოლიმპიურ თამაშებში







**ლატავია მანშიაშილი**



სანდრო შანშიაშილი და ნიკოლოზ ტიხონოვი

ქიზიყი ფეხით ჰქონდა შემოვლილი. ეცნობოდა ისტორიულ ადგილებს და საინტერესო ძეგლებს. დილაობით, როდესაც კავკასიონის გადაღმიდან მზე ამოცურდებოდა, ტიხონოვი მტევნებდაჯავახულ ვაზებით შემოხვეულ აივანზე დაჯდებოდა და ალაზნის ველს, ჭიაურის ტყეს და მდინარე ალაზანს გასცქეროდა. თვალს ვერ ამორებდა მწვერვალებდათოვლილ დიდებულ კავკასიონის ქედს, რომელიც მშობელ დედასავით ზევდან დასცქერის იქით ჩრდილოეთს და აქეთ სამხრეთს. ან მთვარიან ღამეს, როდესაც მთვარის შუქი ყურძნის მტევნებს და კაკლის ხეების ფოთლებს ეთამაშებოდა, ხოლო ჩრდილი კი მწვანე ბალახზე წვებოდა.

ამ სილამაზით აღფრთოვანებული ტიხონოვი იტყოდა ხოლმე: „Посмотрите, какая красота, это ведь жизнь, это ведь поэзия!..“ ეს სილამაზე ტიხონოვს აღწერილი აქვს თავის წიგნში: „Двойная радуга“.

სანდრო შანშიაშილი იხსენებს:

„ნიკოლოზ ტიხონოვს თავდაპირველად მისი ლექსებით ვიცნობდი, ხოლო პირადად გავიცანი 1923-24 წელს. იმ ხანებში თბილისში რუსი მწერლების დელეგაცია ჩამოვიდა. მათ შორის იყო ტიხონოვიც. ერთ საღამოს ისინი ოჯახში სტუმრად მეწვივნენ. ჩემთან აგრეთვე იყო ცნობილი მსახიობი და რეჟისორი აკაკი ვასაძე, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრში სანდრო ანბეგელის მიერ დადგმულ ჩემს პიესებში მთავარ როლებს ასრულებდა. ვასაძემ ჩემი რამდენიმე ლექსი ზეპირად წაიკითხა, „კახეთის დღეოფალი“ კი მოსკოველ სტუმრებს რუსულად უთარგმნა. ეს ლექსი ტიხონოვს ძალიან მოეწონა და მეორე დღესვე თარგმნა. იმ დღიდან დამკვიდრდა ჩემი და ტიხონოვის მეგობრობა“.

1948 წელს, შემოდგომაზე, ტიხონოვის მეუღლე მარია კონსტანტინეს ასული მამაჩემთან და დედაჩემთან ერთად ჯუგაანში იმყოფებოდა. ტიხონოვი კი ნიზამის იუბილეს ჩასატარებლად ბაქოში წავიდა და იუბილეს შემდეგ ისიც ჯუგაანში უნდა ჩასულიყო.

სანდრო შანშიაშილი იხსენებს:

„ერთ საღამოს ჩვენს უბანში გაისმა მანქანების საყვირების გაბმული ხმა. ჩვენ აივანზე გავედით. მანქანების ხმაურზე გზაზე ხალხი იყო გამოშლილი. ორი მანქანა ჩვენსკენ მოდიოდა და ჩემ სახლთან შეჩერდა. ერთი მანქანიდან გადმოვიდნენ ტიხონოვი, ფადეევი და სამედ ვურგუნი. მეორედან კი მათი გამომცილე-

**ჯუგაანში ერთი სახლია...**

საქართველოს ხშირი სტუმრები იყვნენ: ნიკოლოზ ტიხონოვი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ბორის პასტერნაკი, ალექსანდრე ფადეევი, ვლადიმერ ლუგოვსკოი, ვიქტორ გოლცევი, ბენიამინ ლივშიცი, ბალტიისპირელი ვენცლოვა, უკრაინელები: მიკოლა ბაჟანი და ალექსანდრე კორნეიჩუკი, სომეხი ზარიანი, აზერბაიჯანელი სამედ ვურგუნი, ალექსანდრე სოფრონოვი და სხვები.

საქართველოში ყოფნისას არ შეიძლება ბოდა, რომ ჯუგაანს არ სწევდნენ. ისინი ტკებოდნენ იქაური ბუნების სილამაზით, თავიანთი მეგობრის სანდრო შანშიაშილის სტუმართმოყვარეობით. ოთახის ერთ კედელს ამშვენებდნენ საინტერესო წარწერებით.

წარწერებს შორის არის ბრძანებულება ასეთი შინაარსისა: „9 ოქტომბერი გამოცხადდეს პოეტების დღედ. ყოველ წელიწადს ამ დღეს შევიკრიბოთ აქ, ჯუგაანში, სანდრო შანშიაშილის შესანიშნავ სახლში და დავლით მეგობრობის სადღეგრძელო!“

ბრძანებულებას ხელს აწერენ: ირაკლი აბაშიძე, ილო მოსაშვილი, სანდრო შანშიაშილი, ტიხონოვი, ფადეევი და სამედ ვურგუნი. ბრძანებულება წლების მანძილზე სრულდებოდა, შემდეგ კი ზოგი გარდაიცვალა, ზოგი დაბერდა და ვეღარ ჩამოდიოდნენ.

ჯუგაანის ამ სახლში ახლა არის სანდრო შანშიაშილის სახელობის მუზეუმი. მუზეუმის სანახავედ სხვადასხვა მხრი-

დან ბევრი ხალხი დადის და კედელს, რომელზედაც უნიკალური წარწერებია, მეგობრობის კედელს უწოდებენ.

ჯუგაანი მამაჩემის სოფელია. იგი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთით, ქიზიყში და გადაშლილია ქალაქ სიღნაღის კალთაზე. უძველესი ქალაქი სიღნაღი აშენებულია გომბორის მთის მწვერვალზე და ჯუგაანიდან თავისი ისტორიული გალავნებით ჩიტის ბუდესავით მოჩანს.

ჯუგაანში მამას დარჩა წინაპრების მიერ აშენებული, ფართო აივნით გარშემორტყმული ორსართულიანი სახლი პატარა მამულით, რომელიც ედემის ბაღს წააგავდა.

სანდრო შანშიაშილი იხსენებს:

„მე დავიბადე ჯუგაანში, მღვდლის ოჯახში, სწავლა დავიწყე თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, შემდეგ კი გავაგრძელე გერმანიაში ბერლინის უნივერსიტეტში“.

მამაჩემს ჯუგაანი ძალიან უყვარდა და იქ ხშირად დადიოდა. უყვარდა იქაური ნოყიერი მიწა, იქარი ხე, ვაზი. უყვარდა იქაური გლეხობა, მათთან საუბარი. მამა მეტად კეთილი, თავმდაბალი და მოსიყვარულე იყო და ვინმეს თუ რამე უჭირდა, ყველას ეხმარებოდა.

ჯუგაანში ყოფნა განსაკუთრებით ნიკოლოზ ტიხონოვს უყვარდა. იგი იქ ორ-სამ თვეს რჩებოდა ხოლმე, უფრო შემოდგომაობით, როდესაც მამაჩემი და დედაჩემი იქ იყვნენ. ტიხონოვს მთელი



ბლები. ისინი ნიზამის იუბილეს შემდეგ ზაქათალას და ლავოდების გამოვლით ბქოდან პირდაპირ ჯუგაანში ჩამოვიდნენ. მეგობრების ჩამოსვლა ძალიან გამეხარდა და ერთმანეთს გადავეხვიეთ.

ეზოში გაჩაღდა ცეცხლი მწვადებისათვის. დაიკლა ბატკანი, დაიკლა ქათმები. სტუმრებმა მანქანიდან გზადაგზა ნანადირევი ხოხბები გადმოალაგეს. დატრიოდნენ მეზობელი ქალები, გაახურეს თონე, ჩაკრეს შოთის პურები და დაამზადეს ნირ-ნაირი საჭმელები. ყველაფერ ამას სარებზე ჩამოკიდებული ახლადგავლებული ჩურჩხელები ამშვენებდა. ფართე აფანზე სუფრა გაიშალა და დაიწყო საღვებრძელოები”.

ეს ეპიზოდი აგრეთვე ტიხონოვმა შესანიშნავად აღწერა თავის წიგნში: „Двойная радуга”.

მამაჩემის მეგობარი მწერლების ჯუგაანში ყოფნა არამართო დროსტარება იყო, არამედ ისინი იქ ეწეოდნენ შემოქმედებით მუშაობას. მაგალითად, ტიხონოვმა ჯუგაანში დაწერა ლექსების ციკლი: „Стихи о Кахетии” და მიუძღვნა დედაჩემს. ეს კრებული იმავე წელს ცალკე წიგნად მოსკოვში დაისტამბა, ხოლო მხატვრულად ჩვენმა გამოჩენილმა მხატვრმა თამარ აბაკელიამ გააფორმა. ზაბოლოცკიმ ჯუგაანში თარგმნა „ბახტრიონი” და კედელზე ასეთი წარწერა გააკეთა: „თუ არა ჯუგაანში, სანდრო შანშიაშვილის სახლში, თუ არა ამ ულამაზეს ბუნებაში, სხვაგან „ბახტრიონს” ვერ ვთარგმნიდი და ვაჟა-ფშაველას რუსულად ვერ ავაქლერებდი”.

მაღე ომმა დაარღვია ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება. შეწყდა მამაჩემის და რუსი, უკრაინელი თუ სხვა ეროვნების მეგობარი მწერლების მიწერ-მოწერა.

ერთ დღეს, 1943 წელს მამასთან მოვიდა ერთი ახალგაზრდა, სამხედრო ფორმაში. ეს იყო პეტერბურგელი სცენარისტი ვადიმ პოპოვი, რომელიც ერთდღიანი მივლინებით თბილისში ჩამოვიდა. ვადიმ პოპოვმა მამას ტიხონოვის წერილი გააღაცა. ტიხონოვი წარმოშობით პეტერბურგელი იყო. მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა.

აი, რას სწერს ტიხონოვი მამაჩემს: „ომის დაწყების პირველი დღიდანვე ვარში ვმუშაობ. ვარ ფრონტზე ტყვიისა და ყუმბარის წვიმის ქვეშ. ლენინგრადი ბლოკადაშია. ღმერთმა დაგიფაროთ, მეათედი განიცადოთ იმისა, რასაც განიცდიან ლენინგრადელები: სიცივე, შიმშილი, სიბნელე, ყუმბარების დაშენა და ნგრევა.

ხალხი და განსაკუთრებით ბავშვები შიმშილით იხრცება. ამ ზამთარს დაგვარვე დედა, ძმა, სიმაძრი, ჩემი დის ქმარი. ერთი სიტყვით, ჩვენს ოჯახში ერთადერთი მამაკაცი დავრჩი მე”.

წერილის კითხვისას მამაჩემსაც და დედაჩემსაც თვალეზზე ცრემლები მოადგათ. ვადიმ პოპოვი ასადილეს და წასვლისას მამაჩემმა წერილთან ერთად ტიხონოვთან დიდი ბოცა ჯუგაანური თაფლი გაატანა. და დააბრა: „კოლიას უთხარი, ახლომანლო ბავშვებსაც გაუნაწილე-თქო”.

ომის შემდეგ, როდესაც ტიხონოვი თბილისში ჩამოვიდა, მამას თაფლისთვის დიდი მადლობა გადაუხადა და უთხრა:

– იცი, სანდრო, შენმა გამოგზავნილმა თაფლმა ჩვენი და გვერდზე სახლის მშინერ ბავშვებს ძალიან უშველა. მე და ჩემი ცოლი ვიზოგავდით და თითო-თითო კოვზს, დღეში ორჯერ, დილით და საღამოს ბავშვებს ვუნაწილებდით.

სანდრო შანშიაშვილს მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა ალექსეი ტოლსტოისთან, მაქსიმ გორკისთან, სერგეი ესენინთან, ვლადიმირ მაიაკოვსკისთან. იგი განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს სერგეი ესენინს:

„სერგეი ესენინი გარეგნობით მეტად მომხიბლველი ყმაწვილი კაცი იყო. მის ლამაზ სახეს ნათელი გადასდიოდა. ქერა თმები გვერდზე ჰქონდა გადავარცხნილი და დიდი ცისფერი თვალებიდან თითქოს ნაპერწკალი სცვიოდა.

ესენინს საქართველო ძალიან უყვარდა. ერთხელ მან მე და ტიცინან ტაბიძეს გვითხრა: როდესაც საქართველოში ვარ, ხალისი და სიცოცხლე მემატება, ხოლო, როდესაც თქვენთან ვსაუბრობ, ასე მგონია, ერთი დედ-მამის შეილები ვართო.

იგი მოუსვენარი იყო, მოჭარბებულად მგრძნობიარე. როდესაც ლექსს ვეკითხავდა, თითქოს თავის თავს ესაუბრებოდა, იდუმალ გამომეტყველებას მიიღებდა და თავის გარშემო ვეღარავის ხედავდა.

ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ჩემთან, ტიცინანთან, პაოლო იაშვილთან. ერთხელ ფუნეკულიორზე მოვიყარეთ თავი. თამადა პაოლო იყო. ვსვამდით საღვებრძელოებს, ვსაუბრობდით, ცოტ-ცოტას ვმღეროდით კიდევ. უცებ ესენინის გასაგონად პაოლომ მე განგებ შემაქო, როგორც კარგი მოჭიდავე. ტიცინანმაც დაუდასტურა. ეს რომ ესენინმა გაიგო, ჩამაცვიდა, გინდა თუ არა, ვიჭიდავოთ, ღონეში უნდა გამოვცადო. მე ფრანგული ჭიდაობისა არაფერი გამეგებოდა, ქართულ ჭიდაობაში კი ყმაწვილობისას ფალ-

ავანს მეძახდნენ.

მე და ესენინი გავედით საჭიდაოდ. იგი ფრანგული ხერხებისათვის ემზადებოდა, მე კი ქართულად კისერზე წამოვილე და ძირს დავანარცხე. ატყდა სიცილი და ხარხარი, ესენინი კი დამარცხებით მეტად გულნატკენი დარჩა. ეს რომ შევნიშნე ხელმეორედ დავეკვიდეთ. ესენინმა ხელი ჩამჭიდა, მე მას დავნებდი და თავი დავამარცხებინე.

ვამას ძახილით გამარჯვება ესენინს მიაკუთვნეს. ესენინის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მე და ესენინი ერთმანეთს გადავეხვიეთ და ერთმანეთი გადავკოცნეთ.

ერთხელ ტიცინანმა ესენინს ჩემი ლექსი „ბატონი ცილინდროსანი” გადაუთარგმნა (ეს ლექსი ტიცინანს განსაკუთრებით უყვარდა), ესენინს ჩემი „ბატონი ცილინდროსანი” ძალიან მოეწონა და მითხრა:

– Сандро, дорогой, ты мне духовный брат, знай, ответно лебедь запоёт! – და ამის შემდეგ ესენინმა დაწერა ლექსი: „Чёрный человек”, რომელიც განწყობილებით ძალიან ჰგავს ჩემს ლექსს „ბატონ ცილინდროსანს”.

ერთ დამეს მე ესენინის ლექსს „დედას” ვთარგმნიდი, გათენებისას თარგმნა დავამთავრე და ის კი იყო დასაძინებლად უნდა დავწოლილიყავი, რომ ტიცინანის ძახილი შემომესმა. მაშინვე წამოვხტი და ფანჯრიდან გავიხედე. ფანჯრის წინ გაფითრებული ტიცინანი იდგა. მე შემეშინდა.

– რა მოგივიდა, ოჯახში ხომ მშვიდობაა?! – სწრაფად გარეთ გავედი და ტიცინანი შინ შემოვიყვანე.

– რა მოხდა, ტიცინან, გამაგებინე, თორემ გული გამისკდება, – ტიცინანი აქვითინდა, გადამეხვია და ძლივს მითხრა: წუხელის ესენინმა თავი მოიკლავო. ელდა მეცა, ენა ჩამივარდა და მეც ავკვითინდი. როდესაც გონს მოვედი, შევკრთი, შრუანტელმა დამიარა.

– როდესაც ესენინი კვდებოდა, მე მის ლექსს ვთარგმნიდი. მე მას ვესაუბრებოდი, გესმის, ტიცინან. მე მას ვესაუბრებოდი!..

მე და ტიცინანი მეტად დამწუხრებულები პაოლოსთან წავედით. ჩემი ნათარგმნი ლექსი, ესენინის „დედა” იმ დღეებში გაზეთში დაიბეჭდა...”

დღეს სიყვარულით მაგონდება განვლილი წლები, დედა, მამა და ჯუგაანის ხშირი სტუმრები: რუსი, უკრაინელი თუ სხვა ეროვნების მწერლები.





# გაგა

## გი და მოვასანი

ყოველ დღით, შეხვედრისას, ქალიშვილი ხელს ჩამოართმევდა ფრანსუას. ეს უკანასკნელი კი საღამომდე ინარჩუნებდა შეხების შეგრძობას, ამ გრძნობით გამოწვეულ სითბოს.

ფრანსუა მოუთმენლად ელოდა ომნიბუსით ამ მოკლე მგზავრობას. კვირა დღეები შემზარავად ეჩვენებოდა.

ქალიშვილის ღიმილსაც მეტი სითბო დაეტყო, რადგან გაზაფხულის ერთ შაბათს იგი დათანხმდა ერთად გაესივრნათ და შემდეგ ერთად ესაღილათ მეზონ-ლაფიტში.

ქალიშვილი პირველად მივიდა ვაგზალში მასთან შესახვედრად. გაკვირვებულ ფრანსუას ქალიშვილმა უთხრა:

– გამგზავრებამდე უნდა მოველაპარაკო, ოცი წუთი გვაქვს დრო, ეს საჭიროზე მეტია.

ქალიშვილი აცაცაცებულ და თვალუდახრილი განავრძობდა:

– მე წესიერი, პატიოსანი ქალიშვილი ვარ. თქვენთან ერთად იქ მხოლოდ მაშინ წამოვალ, თუ პირობას მომცემთ და შემომფიცავთ, რომ უხამსს არაფერს მოიმოქმედებთ.

ფრანსუა უსმენდა და არ იცოდა, რა ეპასუხა. გულის სიღრმეში შეიძლება მას ერჩინა ასეც ყოფილიყო და მაინც თავს ვერ მოერია, წინა ღამით ვენიანმა ოცნებებმა ცეცხლი გაუჩინა ძარღვებში. რა თქმა უნდა, მას ნაკლებად ეყვარებოდა ქალიშვილი მსუბუქი ყოფაქცევისა რომ ყოფილიყო. ევოლისტური მიზნები აღამიანთა სიყვარულის საკითხში გონებას უფორიაქებდა მას.

ვინაიდან ფრანსუა არაფერს ამბობდა, აღელვებული ქალიშვილი ცრემლნარევი ხმით განავრძობდა:

– თუ თქვენ ვერ მპირდებით საესეებით პატივი მცეთ, შინ დაგბრუნდება.

ფრანსუამ მკლავზე ხელი ნახად მოუჭირა და უპასუხა:

– მე თქვენ გაპირდებით, თქვენ მხოლოდ ისე მოიქცევით, როგორც მოისურვებთ.

ქალიშვილმა შეებით ამოისუნთქა და ღიმილით ჰკითხა:

– ეს ნამდვილად სიპართლეა?

ფრანსუამ მას თვალეში ჩახედა:

– გეყოცებით.

– ავიღოთ ბილეთები, – თქვა ქალიშვილმა.

გზაში სრულებით ვერ შესძლეს საუბარი, რადგან ვაკონი ხალხით იყო გაჭვდილი.

მეზონ-ლაფიტში ჩამოსულებმა გევი სენისაკენ აიღეს. ზომიერი ჰაერი სულსა და ხორცს ალობდა, მზე მდინარეს, ფოთლებსა და გაზონებს ეცემოდა მთლიანად, სიცოცხლის სიყვარულით აღავსებდა ირგვლივ ყოველ სულიერს.

ისინი ხელჩაკიდებულნი მიუყვებოდნენ მდინარის ფერდობს და წყალში მოსრიალე პატარა თევზების ჯგუფებს უყურებდნენ. მათ ბედნიერი იერი ჰქონდათ და სიამოვნებათ ერთმანეთის გვერდით ყოფნა.

მოულოდნელად ქალიშვილმა ჰკითხა:

– თქვენ მე სულელი გგონივართ?

– ეს რატომ?

– განა სისულელი არ არის მარტოკა რომ

ვინაიდან იგი ბატონიულების ოჯახში ცხოვრობდა და განათლების სამინისტროში მოხელედ მუშაობდა, ყოველ დღით ომნიბუსით დადიოდა სამსახურში. პარიზის ცენტრამდე მას ყოველთვის ერთი ქალიშვილის პირდაპირ უხდებოდა მგზავრობა, რომლის შეყვარებული გახდა შემდეგ.

ქალიშვილი ყოველდღე ერთსა და იმავე დროს მიდიოდა თავის მალაზიაში. ის იყო შავგვრემანი, თვალები ისეთი შავი ჰქონდა, რომ სახის ფერს ძელისფრად აირეკლავდა. ახალგაზრდა მამაკაცი მას მუდამ ერთსა და იმავე ქუჩის კუთხეში მდგარს ხედავდა ომნიბუსის მოლოდინში. როგორც კი ეტლი გამოინდებოდა ის აჩქარებული, მოხერხებული და ლაღი იერით გამოეკიდებოდა და საფეხურს შეახტებოდა. შემდეგ, აქომინებული ქალიშვილი ეტლის შუაგულისაკენ მიიწვედა და მოკალათებული ირგვლივ მზერას გადააკლებდა.

ფრანსუა ტესის პირველი დანახვისთანავე მოეწონა ქალიშვილი. ზოგჯერ შეგვეხებდა ხოლმე ასეთი ქალები და სურვილი გაგვიჩნდება თავდავიწყებით უძალე მოვიწყვდილოთ მკლავებში, თუნდაც არ ვივცნობდეთ მათ. ეს ახალგაზრდა ქალიშვილი პასუხობდა მის ინტიმურ სურვილებს, სიყვარულის ისეთ იდეალს, რომელსაც გულის სიღ-

რმეში შეუცნობლად აღიარებდა იგი. ფრანსუა დაუხინებით უმზერდა ქალიშვილს. ის კი, უხერხულობაში ჩავარდნილი, წითლდებოდა. მამაკაცმა იგრძნო, რომ შეაწუხა ქალი და მოინდომა მზერა სხვაგან გადაეტანა, მაგრამ თვალები მისდაუნებურად მაინც მისკენ გაუბრბოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ერთმანეთი უსიტყვოდ გაიცნეს. როცა ეტლი ხალხით გაიჭვდებოდა, ფრანსუა თავის ადგილს უთმობდა და იმპერიულზე აღიოდა. ამ დროს ქალიშვილი მას ღიმილით ესალმებოდა, თუმცა ვაჟის შემოხვედვისას თვალებს დაბლა ხრიდა, რომელსაც ცოცხლად გრძობდა იგი და აღარ ბრაზობდა ამგვარი ჭკურტის გამო.

ბოლოსდაბოლოს ალაპარაკდნენ, რაღაც სწრაფი ინტიმურობა ჩამოყალიბდა მათ შორის, ყოველდღიური ნახვევრსათიანი ინტიმურობა. სწორედ აქ, ომნიბუსში იყო მისი ცხოვრების მისთვის ყველაზე შესანიშნავი ნახვევარი საათი. მთელ დარჩენილ დროს მასზე ფიქრობდა, სამსახურში, ხანგრძლივ სხდომებზეც კი გამუდმებით თვალწინ ხედავდა მას. ფრანსუას მიანდა, რომ ასეთი მიმზიდველი ქალის სრულად დაუფლება მისთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა.



წამოგვევით?

- არა, ეს ხომ ბუნებრივია.

- არა! არა! ეს არ არის ბუნებრივი, - ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის, რადგან მე არ მინდა შეეცდეს სწორედ ასეთიანად ცდებიან ხოლმე. რომ იცოდეთ, რა მოსაწყენია ყოველ დღე ერთი და იგივე თვის ყველა დღე, წლის ყველა თვე. სულ მარტო ვარ დედასთან ერთად, ვინაიდან იგი დამწუხრებულა, მხიარულს ვერ ნახავ. მე რაც შემძლია ვცდილობ, გავაცინო მაინც, მაგრამ ყლველთვის არ გამოდის. სულ ერთია, იქნებ ცუდიცაა რომ მოვედი, მაგრამ თქვენ ხომ ჩემგან არაფერი გსურთ მაინც?

ფრანსუამ პასუხად ყურზე აკოცა. ქალიშვილი სწრაფად გაუსხლტა და გაბრაზებულმა უთხრა:

- ოპ, ბატონო ფრანსუა, თქვენ ხომ შემოძვინკეთ.

ისინი მეზონ-ლაფიტიასკენ დაბრუნდნენ.

„პატარა პავრ“-ში ისადიდეს, უზარმაზარი ოთხი ლუღის ხის ქვეშ შეუყუთულ კაფეში, წყლის პირას.

სასიამოვნო ატმოსფერო, სუსტი თეთრი ღვინო, ერთმანეთის გვერდით ყოფნა მათზე გამაბრუებლად მოქმედებდა. კაფედან გამოსვლის შემდეგ, სასიამოვნო განცდამ შეიპყრო ორივე, გადაკვეთეს რა სენა, მდინარის გასწვრივ გაუყვნენ სოფელ ლაფრუტოსაკენ.

ფრანსუამ ქალს ჰკითხა:

- რა გქვიათ?

- ლუიზა, - უპასუხა ქალიშვილმა.

ვაჟმა გაიმეორა - ლუიზა - და მეტი არაფერი იტყა.

მდინარე ხატავდა რა გრძელი გზის მოსახვევს, ცდილობდა დაესველებინა შორს თეთრი სახლები მწკრივი, რომლებიც წყალში თავდაყირა მოჩანდნენ. ლუიზა ზიზილეს აგროვებდა და გვირგვინს წნიდა. ფრანსუა კი შეზარხოშებული ღლინებდა, როგორც ბალახზე ახლადდაბადებული ცხენის კვიცი. მათგან მარჯვნივ, ვენახებით დაფარული ფერდობი მდინარეს მიუყვებოდა. იქვე ახლოს იასამნები და სხვა ყვავილები მაცდურად იღიმებოდნენ, შორიახლოს მოჩანდა იისფერი ტყე, სალინასავეთ მოფენილი, რომელიც იქვე სოფლამდე 2-3 კმ-ზე გადიოდა. ქალ-ვაჟი ბუნების სილამაზით ტკბებოდა.

გადაკვეთეს რა მინდორი, ფერდობთან სირბილით მივიდნენ, საოცარ ფერდობთან, რომელიც ყოველ წელიწადს მთელ პარიზს იასამნებით ამარავებს. ვიწრო ბილიკი ბუჩქებში იკარგებოდა. ისინი ბილიკს გაუყვნენ. წინ მოტიტვლებული კორდი შემოხდათ, შჩერდნენ შესასვენებლად. მზე, დიდი მზე აყვავილებულ ფერდობს ეცემოდა, ტყვიდან თაფლების ძლიერი სურნელება გამოჰქონდა - ვევილთა უზარმაზარი სუნთქვა. შორს ეკლესიის ზარი რეკდა. ფრანსუა და ლუიზა ერთმანეთს ნახად მოუყვრნენ, შემდეგ გონებადაკარგულები ბალახზე გაიშლარინენ. ლუიზას თვალები დაეხუჭა და ვაჟის მკლავებს მინდობოდა მილიანად ვნებისაგან გონებაშიმედილი და თავით ფეხებმადე გაბრუებული, არც კი იცოდა, რას სჩადიოდა, ვერ ხვდებოდა რომ მოშეებულყო და ვნების მილოდინში მისთვის გული გადაეხსნა.

გამოფიზილებული ლუიზა ტკივილებისაგან კენსოდა და ხელებში ჩარგული სახით ქვითინებდა. ფრანსუა ცდილობდა მის დამშვიდებას. მას კი სურდა იქაურობას გასცლოდა და შეუწყვეტილყო იმეორება:

- ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

ფრანსუა კი უჩიინებდა:

- ლუიზა, ლუიზა, დაერჩეთ, გთხოვ, ცოტა ხანს, საყვარლო.

ქალს კი ვაგონებაც არ სურდა. როგორც კი ვაგხალში აღმოჩნდნენ, ქალმა იგი ისე მიატოვა, არც კი გამოიშვიდობებია.

მეორე დღეს, როდესაც ომნიბუსში შეხვდა, ფრანსუას იგი გამიხდარი და შეცვლილი მოეჩვენა. ლუიზამ ჩუმად უთხრა:

- ჩავიდეთ, უნდა მოველაპარაკო.

როცა ორივენი ქვეყნილზე მარტოკა დარჩნენ, ქალმა უთხრა:

- ერთმანეთს სამუდამოდ უნდა დავშორდეთ, არ შემძლია თქვენი დანახვა მას შემდეგ, რაც მიხდა.

- კი, მაგრამ რატომ? - ჩაიურჩულა ფრანსუამ.

- იმიტომ, რომ არ შემძლია, გუშინ დამნაშავე ვიყავი, აღარ მინდა განმეორდეს.

ფრანსუა ღიღხანს ემუდარა ქალს, რომ არ მიეტოვებინა, შეპირდა ცოლად შერთვას და ბედნიერ ცხოვრებას, მაგრამ ამაოდ. ლუიზამ იგი მიატოვა.

გავიდა რვა დღე, რაც ფრანსუას ლუიზა არ ენახა. არც მისამართი იცოდა მისი და სად მოძებნიდა. ჩათვალა, რომ სამუდამოდ დაკარგა ქალი.

მეცხრე დღეს, საღამო ხანს, მის კარზე დარეკეს. ფრანსუამ კარი გააღო. მის წინ ლუიზა იდგა. შესვლისთანავე მკლავებში ჩაუვარდა ვაჟს და წინააღმდეგობა არც კი უცდია. სამი თვის განმავლობაში ურთიერთსიყვარულით ტკბებოდნენ, მაგრამ როცა ლუიზამ განაცხადა ფეხშიმძღვ ვარო, ფრანსუამ ინტერესი დაკარგა მის მიმართ და იმ-

ასლა ფიქრობდა, როგორ შეეწყვიტა ეს ურთიერთობა. ბოლოს უკიდურესი გადაწყვეტილება მიიღო - გამოეცვალა ბინა და მოულოდნელად გასცლოდა იქაურობას.

ფრანსუას ღალატმა ძლიერ იმოქმედა ლუიზაზე, ის სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, მაგრამ არ უძებნია ის, ვინც ასე მიატოვა. ქალი დღეს გამოუტყდა თავის უბედურებაში, რამდენიმე თვის შემდეგ ლუიზამ იმშობიარა და ვაჟი ყვოლა.

გაფრინდნენ წლები. ფრანსუა ტყესი ხანში შედიოდა, ბერდებოდა ისე, რომ ცხოვრებაში არავითარი ცვლილებები არ განუცდია. იგი ბიუროკრატთა ერთფეროვან და პირქუმ ცხოვრებას ეწეოდა. იგი ერთსა და იმავე საათზე დგებოდა დილით, ერთსა და იმავე ქუჩებს მიუყვებოდა, გადიოდა ერთსა და იმავე კარში, ერთსა და იმავე სავარძელში ჯდებოდა და ასრულებდა ერთსა და იმავე სამუშაოს. ფრანსუა მარტოდმარტო დარჩენილიყო დღისით თავის გულგრილ კოლეგებს შორის, ღამით სახლში - ბერბიჭა ყოველთვიურად ას ფრანკს იზოგავდა სიბერისათვის.

ყოველ კვირა დღეს იგი შანზ-ელიზეში სეირნობდა, რათა თვალი გადაეკვლო გვერდით ჩამაკალ ელეგანტური ხალხისათვის, ეტლებისათვის და ღამაში ქალებისათვის.

მეორე დღეს, თავის სამსახურის ამხანაგს ეტყოდა ხოლმე:

- გუშინ ტყვიდან დაბრუნება ძალზე ბრწყინვალე იყო!





ზაფხულის ერთ კვირა დღეს, მიუყვებოდა რა ახალ ქუჩებს, მონსოს პარკში შევიდა დასასვენებლად. იქვე, ხეობის გასწვრივ ჩამომჯდარი დედები და მოახლებები მათ წინ მოთამაშე ბავშვებს შესცქეროდნენ. უცებ, ფრანსუა ტესიე კანკალმა აიტანა. ერთმა მანდილოსანმა ჩაიარა, ხელი ორი ბავშვისათვის ჩაველო. ბიჭუნა დაახლოებით ათი წლისა იქნებოდა, გოგონა კი - 4 წლის. მან ქალი იცნო. ეს იყო ლუიზა.

ფრანსუამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ თითქოს ფეხქვეშ მიწა ეცლებოდა, დაუძღურდა და სუნთქვაშეკრული სკამზე ჩამოჯდა. ქალმა იგი ვერ იცნო. მამაკაცი წამოდგა და მისკენ გაემართა, რათა კარგად დაენახა და დარწმუნებულიყო თავის ვარაუდში. მანდილოსანი იჯდა. მის გვერდით მშვიდი, მორჩილი ბიჭუნა იდგა, გოგონა მიწისაგან ღვეზელებს აკეთებდა. ქალი ნამდვილად ლუიზა იყო. მას სერიოზული ქალბატონის იერი ჰქონდა, უბრალო მორთულობა, თავდაჯერებული და ღირსეული მიზრა-მოზრა.

ფრანსუა მას შორიდან უთვალთვალებდა, ახლოს მისვლას ვერ ბედავდა. ბიჭუნამ თავი ასწია. ფრანსუამ იგრძნო, როგორ აიტანა კანკალმა. უგვეჯულად მისი ბიჭი იყო. მას თავისი ბავშვობა ედგა თვალწინ.

ფრანსუა, ხის უკან მიმაღული, ლუიზას წასვლას ელოდა, რათა დადევნებოდა და გაეგო მისამართი. იმ დამეს ვერ დაიძინა. მოსვენებას არ აძლევდა შვილზე ფიქრი.

ფრანსუამ მიაკვლია ლუიზას სახლს, შეიტყო, რომ იგი ერთ პატროსან, კარგი ზნე-ჩვეულებების მქონე მეზობელს შეერთო ცოლად. გაკვირვებაში მყოფ ქალს ხელი გაუწოდა, შეცდომა აპატია და მისი ბიჭიც ევიძღ შევიდა აღიარა.

ისევ დადიოდა ფრანსუა ტესიე ყოველ კვირა დღეს, რათა ლუიზა და თავისი ვაჟი ენახა. ერთი სერიოზული იყო შუაგობილი: ხელში აყვანა თავისი შვილი, თავიდან ფეხებამდე დაეკოცნა იგი, თან წაყვანა, გაეტაცა.

ფრანსუა საშინლად იტანჯებოდა. სინდისის ქენჯნას განიცდიდა. თავისი ცხოვრება უაზროდ მიანდა და ნაწილობა ასე უსიყვარულოდ და მართლთხელა რომ ცხოვრობდა.

ერთხელ ვეღარ მოითმინა და მოსიერზე ლუიზას ჰკითხა:

- თქვენ მე ვერ მიცნობთ?

ქალმა თვალბრუნებით შეხედა მას, შიშისაგან ყვირილი მორთო, ორივე ბავშვს ხელი სტაცა და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა.

ფრანსუა შინ დაბრუნდა და მწარედ ატირდა. ვაგიდა თვეები. ლუიზა აღარ უნახავს. შვილის მოფერების სურვილი არ ასვენებდა. ყველაფერს გააკეთებდა, ოღონდ მიზნისათვის მიეღწია. ბოლოს გადაწყვიტა ლუიზასათვის წერილი მიეწერა. 20 წერილიდან ქალს არც ერთზე არ უპასუხია. მაშინ იმედგაპარგულმა მის მუხლს მისწერა პატარ ბარათი:

„ბატონო!

ჩემი სახელი თქვენთვის საბაბი უნდა იყოს სიძულვილისა. მე იმდენად უბედურე და დარღისაგან ნატანჯე ვარ, რომ თქვენი იმედილი მრჩება, მხოლოდ 10 წუთით მსურს თქვენთან საუბარი.

პატივი მაქვს...”

მეორე დღეს ასეთი პასუხი მიიღო: „გელოდებით სამშაბათს, 5 საათზე”.

კბიზე ასვლისას, ფრანსუა ტესიე მღელვარებისაგან ხშირად ჩერდებოდა, ძლივს სუნთქავდა, კიბის მთავრის ეჭიდებოდა რომ არ დაეცემულიყო. მესამე სართულზე დარეკა. კარი მოსამსახურე ქალმა გაუღო.

- ბატონი ფლამელი აქ ცხოვრობს?

- დიას, ბატონო, შემობრძანდით.

იგი მდიდრულ მისაღებში შევიდა. კარი გაიღო და მაღალი, სერიოზული მამაკაცი გამოჩნდა. მან საგარდისაკენ ხელით მიუთითა.

ფრანსუა ტესიე დაჯდა, შემდეგ მითრთოლვარე ხმით დაიწყო:

- ბატონო, ბატონო, - არ ვიცი, იცით თუ არა ჩემი... ჩემი სახელი... რომ იცოდეთ...

ბატონმა ფლამელმა შეაწყვეტინა:

- ნუ ჯახირობთ, ბატონო, ვიცი. ჩემმა მეუღლემ ყველაფერი მიაბო თქვენს შესახებ.

ბატონ ფლამელს კეთილი ადამიანის ტონი ჰქონდა, ზრდილობა და ქალაქელი ადამიანის სიდიადე.

ფრანსუა ტესიე წამოიწყო:

- ბატონო, მე დარდისაგან ვკვდები, სინდისისაგან, სირცხვილისაგან. მე მინდა, მხოლოდ ერთხელ, მარტო ერთხელ მიგუაღერსო, მოეფერო ბავშვს.

ბატონი ფლამელი წამოდგა, ბუნხართან მივიდა, ხელის ხარით მოსამსახურე იხმო და უთხრა:

- მომიყვანეთ ლუი.

მოსამსახურე ვაგიდა. მამაკაცები მარტონი დარჩნენ. პირისპირ. უცებ კარი გაიღო და 10 წლის ბიჭი მისაღებში შემოვარდა და მასთან მიიბრინა, ვინც მამა ეგონა, მაგრამ დარცხვენელი შეჩერდა, შეამჩნია რა უცხო კაცი.

ბ-მა ფლამელმა ბიჭუნას შუბლზე აკოცა და უთხრა:

- ახლა, ძვირფასო, ბატონს აკოცე.

ბავშვი განზე გადა და თან უცნობ კაცს უყურებდა.

ფრანსუა ტესიე წამოდგა, ქული იატაკზე დაუვარდა და ვერც კი შეამჩნია ისე დაშტერებოდა თავის ვაჟს. ბ-ნი ფლამელი ზრდილობისათვის ზურგშეკეული იდგა და ფანჯრიდან ქუჩას გაჟყურებდა.

ვაგონებულმა ბავშვმა იატაკიდან ქული აიღო და უცნობს დაუბრუნა. მაშინ ფრანსუამ მკლავებში სტაცა პატარას ხელი, ჩაიხუტა და გიჟური კოცნა დაუწყო მთელ სხეულზე, თვალბრუნებით, ლოყებზე, ტუჩებში, თმებში. ბიჭუნა დაბნეული ცდილობდა აეცილებინა, თავს აბრუნებდა, პატარა ხელებით გვერდზე წვედა უცხო კაცის გაუმაძღარ ტუჩებს.

ფრანსუა ტესიემ მეტი ვეღარ მოითმინა, ჩამოსვა ბიჭუნა იატაკზე და წამოიყვირა:

- მშვიდობით! მშვიდობით!

იგი ქურდივით გაუჩინარდა.

**ურანგულიდან თარგმან იონა ბაღაშიძემ**



**ოცნაბიდან რეპორაჟად**

იაპონიაში, კარატეს სამშობლოში, უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატზე, ჩვენი თანამემამულის მიერ მოპოვებული ოქროს მედალი ქართული სპორტის კიდევ ერთი დიდი აღიარებაა.

ნათქვამია, კაცი საქმით ფასობს. სწორედ ამ ბრძნული გამონათქვამის თვალსაჩინო მაგალითითა დღევანდელი ჩვენი სტუმარი, მსოფლიოს ჩემპიონი, იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, მსოფლიო შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის დირექტორატის და ტექნიკური კომიტეტის წევრი, ამ მიმდინარეობის კურატორი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მსოფლიოს აღმოსავლური ორთაბრძოლის აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს კარატე-დოს და საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი, VI დანის მფლობელი კახა ბასილია.

- ბატონო კახა, როგორც ვიცით, ტოკიოში გამართულ XX საუკუნის უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატზე შოტოკან კარატე-დოში ოქროს მედალი მოიპოვეთ. როგორი შთაბეჭდილებები დაგიტოვათ ჩემპიონატმა?


- ბრწყინვალე. ჩემპიონატის გახსნა არაჩვეულებრივი სანახაობა იყო. იაპონელებმა ტრადიციისამებრ ეს კალენდარული ღონისძიება ნამდვილ დღესასწაულად აქციეს. მსოფლიოს 100-მდე ქვეყნის უძლიერეს წარგზავნილთა ფორუმს ორთაბრძოლების მექა „უდოკანის“ დარბაზს მასპინძლობდა. ადვილი წარმოსადგენია, როგორ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განვიციდით სარბიელზე გასვლისას. ასეთ სიტუაციაში ჩემპიონობის მისაღწევად მხოლოდ წმინდა სპორტული ღირსებები არ ემარა, აქ კიდევ სულიერი სიძლიერეა საჭირო და, თუ ეს არ გააჩნია სპორტსმენს, მაშინ მისი გამარჯვების შანსი ნაკლებია.

მეამაყება, რომ კარატეს სამეფოში, იაპონიაში, მსოფლიო ჩემპიონი ქართველი გახდა და ეს პატივი მე მეორე წილად. ძალიან მიხარია ისიც, რომ ოცწლიანი დაუღალავი შრომა დამიფასდა და საიუბილეო მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებით დავეკვირვინა.

- რამდენკაცინი დელეგაცია გაემგზავრა საქართველოდან და ვინ გაგიწიათ სპონსორობა?

- სამწუხაროდ, სპონსორის უპასუხისმგებლობის გამო ჩვენი დელეგაცია იაპონიაში სრული შემადგენლობით ვერ გაემგზავრა. ნაკრების ძირითადი ნაწილი სამშობლოში დარჩა. ასევე ვერ გაემგზავრა ჩვენი ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, პარლამენტარი გიორგი ბარამიძე, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ვიცე-პრეზიდენტად იყო დანიშნული და მისი შეხვედრები იაპონელ ბიზნესმენებთან და მთავრობის წევრებთან ერთი თვით აღრე იყო შეთანხმებული.





— დაფინანსება რომ ყოფილიყო, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ერთის ნაცვლად სამოთხე ოქროს მედალს ჩამოვიტანდი. თუმცა, იქ მონაწილე ქართველმა კარატისტებმაც არ შეგვარცხვინეს და შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინეს კომისიის წევრებზე.

ბავშვებში, თხუთმეტ წლამდე ასაკის სპორტსმენებში, მესამე ადგილი დაიკავა ირაკლი ტყეშყაძე. ქების ღირსია ასევე აჭარის წარმომადგენლობაც, რომლის გამგზავრებაც ბატონ ასლან აბაშიძის დაფინანსების ხარჯზე მოხდა. აჭარელები ორთაბრძოლებში ღირსეულად გამოიხდნენ.

მინდა ვთქვა, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც სპორტი სულს დაფავს, სადაც სპონსორმა ელემენტარულად სპორტის ფასი არ იცის, ძნელია, რაიმეს გაკეთება და რაიმეს მიღწევა. ასეთ ჩემპიონატებზე ასპარეზობაც უკვე გვირობის ტოლფასია, გამარჯვებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია, მაგრამ როგორც

ზევით აღვნიშნე, უნდა იყო ძლიერი სულიერად და მხოლოდ გამძლეობის და პიროვნული თვისებების წყალობით შესძლებ წარმატების მიღწევას. პიროვნულობა თავისთავად გულისხმობს იმ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ პოტენციალს, რომელსაც ზურგს უმაგრებს გენეტიკური კოდი. სწორედ ამან განაპირობა ჩემი გამარჯვება. ეს კი თავისთავად ბევრს ნიშნავდა ჩემთვის.

— ბატონო კახა, როგორი იყო ამ დიდი აღიარებისაკენ მიმავალი გზა?


— ამ გზისაკენ, უფრო სწორად, ამ მწვერვალისაკენ, ოცი წლის განმავლობაში მივისწრაფოდი. არ შემძლია აქვე არ აღვნიშნო, რომ ჩემს წარმატებაში ღირსის წილი მიუძღვის ჩემს პირველ მასწავლებელს, საქართველოს კარატეს ერთ-ერთ ფუძემდებელს ომარ რევიშვილს. პირველი შეჯიბრება, რომელშიც მივიღე მონაწილეობა, 1980 წელს ჩატარდა. ეს იყო საქართვე-

ლოს პირველი ჩემპიონატი. მაშინ ქართველი კარატისტების ოცნება იყო, რომ ოდესმე საერთაშორისო ტურნირზე მიგვედო მონაწილეობა. ჩვენი სურვილი იყო, გვენახა მაღალი ღირსისა და ცნობილი ოსტატების ვარჯიშები. იმ დაბრკოლებებს, რომელიც ჩემი და ჩემი თანამოაზრეების წინაშე დგებოდა, გვაღაზებინებდა მხოლოდ კარატეს მიმართ ფანატიკური სიყვარული. მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ ჩვენთვის აუკრძალავთ ვარჯიში, ჩვენ მაინც ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივიწვევდით.

1990 წელს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი დაშლილი არ იყო, შეგებელით მონაწილეობა მიგვედო, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, პერუში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე. მაშინ სპორტის დეპარტამენტის მინისტრი იყო ნუგზარ ენდელაძე, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია, რათა სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრებულიყავით. დღეს კი ამ ფონზე, სულ სხვაგვარი დამოკიდებულება იგრძნობა საქართველოს დეპარტამენტის მხრიდან. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს, რათა საქართველოში სპორტი არ აღორძინდეს და დღეს თუ ქართული სპორტი საველადო მდგომარეობაშია, ეს პირადად სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის „დამსახურება“ გახლავთ.

ის სპორტსმენი, რომელიც შეძლებს ასეთ საველადო მდგომარეობაში თავისი ქვეყნის სახელის გატანას საერთაშორისო ასპარეზზე, ნამდვილი პატრიოტი და გმირია. მე პირადად უცხოელმა დაფინანსებლებმა არაერთხელ შემომთავაზეს საინტერესო წინადადებები, მაგრამ მე საქართველოდან არ წავალ და ყოველგვარ ღირსს ვიხმარ, რომ საქართველოში არამარტო კარატე, არამედ ქართული სპორტი აღორძინდეს. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნებაა. ოცნებიდან რეალობამდე კი მხოლოდ ჭეშმარიტების გზა მიგვიყვანს.

სწორედ ასეთი ჭეშმარიტებით მოიპოვა დიდი აღიარება და კიდევ ერთხელ ასახელა თავისი სამშობლო ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა კახა ბასილიამ და ეს გამარჯვება, ვიმედოვნებთ, კვლავ ახალი, მომავალი წარმატებების საწინდარი გახდება.










# ქროსვორდი



შვეულად: 1. ძალზე ტკბილი თეთრი კრისტალური ნივთიერება – შაქრის სურთკატი. 2. ზედაპირი, რომელზედაც იღებენ შუქურ გამოსასხულებას, სიგნალებს და მისთ. 3. ფულადი ან ნივთიერი ჯილდო რაიმე დარგში წარმატებისათვის. 4. დაპყრობითი ომის გამწაღებელი პირი ან ქვეყანა. 6. ცილისმწამებლური ნაწარმოები. 8. ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც შეიცავს თამბაქო. 9. ინდოელი კინორეჟისორი, სცენარისტი და მწერალი. 13. გასართობი საღამო, მეჯლისი, რომლის მონაწილეებს უკეთიათ ნიღბები და აცვიათ განსაკუთრებული ტანისამოსი. 14. ხელოვნური საერთაშორისო ენა. 18. განსაკუთრებით მდიდრულად მოწყობილი რისამე აღნიშვნა. 19. მოედანი სამხედრო პარადებისა და სამწყობრო ვარჯიშებისათვის. 21. ბურთულებად გაკეთებული წამალი. 24. აზიის სახელმწიფო. 25. ზუსტი მიზანვა, მიმსგავსება. 26. სამხედრო მოსამსახურის აღკაზმულობა. 27. იტალიელი კინომსახიობი ქალი. 30. ინდური ფილმი. 32. მარცხი. 33. ფრანგი მხატვარი, ეროვნებით ესპანელი.

**შაადინა სილა აბაშაძე**

„ღროშა“ №8-10-ში გამომქვეყნებული ქროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. ქალაქი კრასნოდარის მხარეში. 7. ფარული საძრახისი მოქმედება, ზრიკები რაიმე მიზნის მისაღწევად. 10. მანძილი, შუალედი ორ ვერტიკალურ ხაზს შორის ტაბულებში, საკონტროლო დავთრებსა და სხვა. 11. ინგლისელი მწერალი. 12. XIX საუკუნის რუსი პოეტი. 15. ცხოველთა სამყარო. 16. მსხვილი საჯარისო შენაერთი. 17. გეზნიშანი. 20. აზიის სახელმწიფო. 22. დაგრეხილი ბამბის ძაფი, ჩვარი ან საგანგებოდ დამზადებული ქსოვილის ნაჭერი ლამპაში, სანთელში, ნავთქურაში და მისთ. 23. გასანათებელი პატრუქიანი ჭურჭელი, რომელშიც ზეთს ასხამდნენ. 24. სპორტის სახეობა. 28. სამოთხე. 29. საყოველთაო ლტოლვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან. 31. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება, რომელიც თავგამოდებით იცავს თავის განკერძოებულობას და წოდებრივ, პროფესიულ თუ სხვა სახის პრივილეგიებს. 34. სამხატვრო გამოფენის გახსნის დღე. 35. ჰოკეის თამაში: რეზინის დისკო, რომელსაც ყინულზე მიატურებენ. 36. ჩოგბურთის სათამაშო მოედანი. 37. კუნძული ზმელთაშუა ზღვაში. 38. პერსონაჟი კაცის სახელი მექსიკურ ტელესერიალში „ველური გული“.

თარაზულად: 9. სარაბანდა. 10. ფესტივალი. 12. გაბარდინი. 13. დიუბუა. 14. ეკლოგა. 15. ორსკი. 16. ზამბია. 18. დიქცია. 22. კანდიდატურა. 23. ინდივიდუუმი. 24. მასარი. 27. სტენდი. 31. ფეტრი. 34. ალბომი. 35. რეალია. 36. კოვერკოტი. 37. კრიმინალი. 38. ვიქტორინა.

შვეულად: 1. ასპიდი. 2. ტრიბუნა. 3. ფარგალი. 4. უდაბნო. 5. ფელინი. 6. სტაიერი. 7. ბარტონი. 8. ბილბაო. 11. პრესტიდივიტატორი. 17. ბუკოლიკა. 19. ქსანთიპე. 20. იდილია. 21. სტატუა. 25. ამბიცია. 26. რაიკინი. 28. ტურისტი. 29. დილოგია. 30. ბანაკი. 31. ფაველა. 32. ირონია. 33. ბარცია.

**ბარაკანის პირველ ბეპერზე; ფოტოქოლუაში  
მეორე ბეპერზე; ნესტან ჯოლიას ნამუშევრები**



ნესტან ჯოლია



ნესტან ჯოლია დაიბადა 1978 წლის 13 სექტემბერს თბილისში. ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1995 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების სპეციალობაზე. განვლილი წლების მანძილზე სახვით ხელოვნების ურთულეს საიდუმლოს შეცნობაში მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი მხატვრები, პროფესორები – თეიმურაზ ჭყონია, მერაბ მერაბიშვილი, ეთერ კაკაბაძე, რუსუდან გაჩეჩილაძე, ლევან ცუცქერიძე და სხვები. ამჟამად ნ. ჯოლია ქანდაკების მე-6 კურსის სტუდენტია, დაოსტატებას გადის ცნობილი მოქანდაკის, საქართველოს სახალხო მხატვრის, პროფესორ გიორგი ოჩიაურის ხელმძღვანელობით.

როგორც გამორჩეულად ნიჭიერი, სწავლის ფრიადოსანი და პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული სტუდენტი სამხატვრო აკადემიამ 1997 წელს მიავლინა ლიუბლიანის (სლოვენია) სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც ევროპის საუკეთესო უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლების წარგზავნილები იღებდნენ მონაწილეობას.

ნესტან ჯოლია სისტემატურად იღებს მონაწილეობას შიდასაკადემიო სტუდენტურ გამოფენებში, თანამედროვე ხელოვნების გალერეაში გამართულ აკადემიის პედაგოგთა და სტუდენტთა ნახატის გამოფენაზე მისმა ნამუშევრებმა სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. აღსანიშნავია თავისუფალ თემაზე შესრულებული მისი შემოქმედებითი ნამუშევრები: „ჭაბუკის ფიგურა“, „დელობა“, „ქალის ტორსი“, „ქრისტეს ჯვარცმა“, „სიყვარული“.


„ქრისტეს ჯვარცმამ“ ჟურნალ „ცისკრის“ 1998 წლის მე-10 ნომრის გარეკანი დაამშვენა.

ნესტან ჯოლიას, როგორც წარჩინებული აკადემიური მოსწრებისა და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ სტუდენტს 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდია მიენიჭა.

აკადემიის პროფესორის აზრით ნესტან ჯოლია ინდივიდუალური ხელწერის, გაბეჯული ჩანაფიქრის მქონე ახალგაზრდა შემოქმედია.



179 25 9/11



*Umberto*

